საკ. სსრ კ. მარქსი
სახ. სახ. ბიბლიოთ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 164 (20505) ✦ სამშაბათი, 18 ივლისი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 14 ივლისის სხდომაზე მოისმინა მ. ს. გორბაჩოვის ცნობა ლენინგრადში მოგზაურობის, ქალაქის მშრომელებთან, პარტიულ-სამეურნეო აქტივთან შეხვედრების, იქ გამართული პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმის შესახებ. შეხვედრებმა და საუბრებმა ცხადყო, რომ მუშათა კლასი მხარს უჭერს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გაღრმავების კურსს, რომელიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთლიანად უკავშირებს თავის ბედს გარდაქმნას. ამავე დროს ლენინგრადელები არ არიან კმაყოფილი იმით, თუ როგორ წყდება ბევრი პრაქტიკული საქმე, მტკიცედ მოითხოვენ, ამაღლდეს მუშაობის დონე ცენტრში და ადგილებზე. მშრომელები დიდ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ ორგანიზაციას, რაც ავალებს კომუნისტებს აქტიურად იმუშაონ მასებში, გაბედულად გადაწყვიტონ ქალაქისა და ოლქის განვითარების საკითხები.

პოლიტბიურომ განიხილა თანამედროვე პირობებში ეროვნული პოლიტიკის სფეროში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტი. ამ საკითხის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ საჭიროდ არის მიჩნეული დაიხვეწოს პროექტი და განსახილველად გაიგზავნოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში. ამის შემდეგ გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტი გატანილ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

სხდომაზე განიხილეს მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ ბუქარესტის თათბირის ყველა მონაწილემ მხარი დაუჭირა ევროპის კონტინენტზე ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა უაღრესად ინიციატივიანი მონაწილეობით ევროპის კონტინენტზე მიმდინარე პოზიტიური ცვლილებების განმტკიცების ინტერესებისათვის მოკავშირე ქვეყნების ურთიერთმოქმედების შემდგომ გაღრმავებას. თათბირის მიერ მიღებულ დოკუმენტებში მკაფიოდ არის გამოხატული გადაწყვეტილება, უზრუნველყონ შემდგომი წინსვლა სტაბილური და უსაფრთხო ევროპის გზაზე. შეუქცევადი ხასიათი მიანიჭონ კონფრონტაციიდან დიალოგზე და თანამშრომლობაზე გადასვლის მსოფლიოში ჩასახულ პროცესებს.

პოლიტბიურომ მოიწონა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა ბუქარესტში გამართულ შეხვედრაზე მ. ს. გორბაჩოვის საქმიანობა. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა თანამედროვე სოციალიზმის განვითარებისა და განახლების აქტუალური პრობლემების გამო აზრთა ფართო, საქმიანი გაზიარება.

პოლიტბიურომ მოისმინა მ. ს. გორბაჩოვის ცნობა საფრანგეთში ვიზიტისა და სტრასბურგში ყოფნის შედეგებზე. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის კარგ ტრადიციებზე დაფუძნებულმა უმაღლესი დონის შეხვედრამ გამოავლინა საფრანგეთთან პოლიტიკური დიალოგის ახალი მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი, რაც ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის დინამიზაციის ხელსაყრელი ორმხრივი საქმიანი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი და საიმედო რგოლია.

საფრანგეთის მხარემ ცხოველი ინტერესი გამოიჩინა საერთოევროპული სახლის კონცეფციის კონსტრუქციული განვითარებისა და საგნობრივი შევსების მიმართ. სამხედრო კონფრონტაციის შემცირებისა და განიარაღების ამოცანების (უწინარეს ყოვლისა ევროპაში), ჰელსინკის პროცესის მკვეთრად წინ წაწევის შესახებ გამართულმა აზრთა საფუძვლიანმა გაზიარებამ ცხადყო, რომ შეუცვლელია საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთმოქმედების როლი ევროპის ახლანდელ პოზიტიურ და საერთაშორისო პროცესებში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ საბჭოთა ხელმძღვანელი პირველად ეწვია სტრასბურგს, რაც დასაბამს აძლევს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასა და საერთოდ დასავლეთ ევროპის გაერთიანებებთან სსრ კავშირის პრაქტიკული ურთიერთმოქმედების მოგვარებას.

განიხილეს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. პ. ნიკონოვის მეთაურობით სკკპ დელეგაციის მოგზაურობისა და ფხენიანის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალის გახსნაში მონაწილეობის შედეგები. აღინიშნა, რომ საუბარი კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტთან კიმ ირ სენთან, შეხვედრები რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო მუშაკებთან, ვიზიტის დროს მიღწეული მორიგებანი ხელს შეუწყობს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგში საბჭოთა კავშირ-კორეის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ჩვენი ქვეყნების ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოისმინა ვ. პ. ნიკონოვის ცნობა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მოგზაურობის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მჭიდრო თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება, იგი ჩვენს ქვეყნებში გარდაქმნის, მათი ძმური ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჟ. ბატმუნხისა და სხვა მონღოლი ხელმძღვანელების, პარტიული კომიტეტების, სამეცნიერო და სამეურნეო დაწესებულებების მუშაკების, არატებისა და მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საუბრების დროს განიხილეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის თანამშრომლობის შემდგომი სრულყოფის, ამ დარგში არსებული დიდი რეზერვების უფრო სრულად გამოყენების ამოცანები.

(საქდესი).

# მ. ს. გორბაჩოვისა და რ. განდის შეხვედრა

**15 ივლისს** კრემლში გაიმართა ორი ქვეყნის — სსრ კავშირისა და ინდოეთის ხელმძღვანელების კიდევ ერთი შეხვედრა. მ. ს. გორბაჩოვისა და რაჯივ განდის მეგობრულმა დიალოგმა ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში კანონზომიერების ხასიათი შეიძინა.

მოსაუბრეებმა აღნიშნეს, რომ დელიში მათი წინა შეხვედრის შემდეგ ნახევარ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში მსოფლიოს მოვლენათა სწრაფი და მრავალფეროვანი განვითარება ადასტურებს იმ ანალიზს, რომელსაც ისინი უკვე კარგა ხანია ეწევიან, აზრთა მუდმივი გაზიარების დროს.

საუბრის დროს შეეხნენ პრაქტიკულად ყველა მთავარ პრობლემას, რომლებიც ახასიათებს ამ მომენტში მსოფლიოში არსებულ სიტუაციას.

მ. ს. გორბაჩოვმა და რ. განდიმ ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებები დასავლეთის ლიდერებთან თავიანთი შეხვედრების თაობაზე, რომლებიც გაიმართა დიდ ბრიტანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში საბჭოთა ხელმძღვანელის, საფრანგეთის რევოლუციის 200 წლისთავის გამო ზეიმზე პარიზში ინდოეთის ხელმძღვანელის ამასწინანდელი ვიზიტების დროს.

მათ განაცხადეს, რომ ძლიერდება პოზიტიური ტენდენციები ევროპის პროცესში. მათ შორის განიარაღების შესახებ მოლაპარაკება, სუსტდება სამხედრო კონფრონტაცია, თუმცა ევროპაში მშვიდობიანი პერიოდის გზაზე ჯერ კიდევ ბევრი რთული პრობლემაა გადასაჭრელი.

დელის დეკლარაციის იდეების შესაბამისად მ. ს. გორბაჩოვმა და რ. განდიმ გამოთქვეს თავიანთი კრიტიკული მოსაზრებანი დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში არსებული ზოგიერთი შეხედულებისა და კონცეფციის გამო.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიკურ ურთიერთობას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსა და საერთოდ მსოფლიოში, პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია „ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესის" პროექტთან. ამ საკითხს შეეხნენ აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ პარიზში ამჟამად მიმდინარეობს შვიდი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნის თათბირი. გამოითქვა რწმენა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემათა რეალური გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მათი ინტერნაციონალიზაციის გზით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობით. ორივე ხელმძღვანელმა საჭიროდ მიიჩნია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის ყოველმხრივი მხარდაჭერა და მისი საქმიანობის გაძლიერება.

განიხილეს მეზობლებთან ორივე სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხები. დაადასტურეს, რომ ორივე მხარე ერთნაირად უდგება ავღანეთის საკითხის მოწესრიგებას და საჭიროდ მიიჩნევს ავღანეთში ომის გაჩაღების პოლიტიკის წინააღმდეგ მოქმედებას.

მ. ს. გორბაჩოვმა და რ. განდიმ აღნიშნეს, რომ სსრ კავშირი და ინდოეთი ერთნაირ პოზიციას უდგანან ჩინეთის ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილი აქვთ კვლავაც განავითარონ კეთილმეზობლური ურთიერთობა ამ დიდ ქვეყანასთან.

ყურადღებით განიხილეს ორმხრივი ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის და სამხედრო დარგში თანამშრომლობის ყველაზე პრინციპული ასპექტები.

გაიმართა ახლანდელ ეტაპზე ორივე ქვეყანაში მიმდინარე საშინაო გარდაქმნათა შეფასებისა და ინფორმაციის გულახდილი გაზიარება. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მწვავე პრობლემისადმი მიდგომაში სასარგებლოა პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებაც.

რ. განდიმ მ. ს. გორბაჩოვი ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია ინდოეთში მომავალ წელს. ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა მეგობრული სახელმწიფოების მუდმივი ურთიერთმოქმედების უნიკალურ ხასიათს.

შეხვედრა დელეგაციების შემადგენლობაში გრძელდებოდა ოთხი საათის განმავლობაში, შემდეგ გაგრძელდა პირისპირ.

მონაწილეობდნენ: ე. ა. შევარდნაძე, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ვ. ნარასიმხა რაო, ელჩები ტ. ნ. კაული და ვ. თ. ისაკოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შ. კ. სინგჰი, ელჩის რანგის მქონე სრულუფლებიანი მინისტრი პრუმ ქ. ბუდხვარი, პრემიერ-მინისტრის კანცელარიის მდივნები რ. სენი, გ. პარტხასარათხი, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე რ. სიკრი.

## ვიზიტი დამთავრდა

**16 ივლისს** მოსკოვიდან გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი რ. განდი. საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით იგი სსრ კავშირში მეგობრულ სამუშაო ვიზიტად იყო.

აეროდრომზე რ. განდი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. პ. ლავეროვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

აეროპორტში აღმართეს ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშები.

* * *

**რ. განდიმ** საბჭოთა კავშირის დედაქალაქიდან გამგზავრების წინ საქდესის კორესპონდენტისათვის თვითმფრინავთან მიცემულ ინტერვიუში მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობას. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა მეტად დინამიკურად ვითარდება, განაცხადა ინდოეთის ხელმძღვანელმა, და დღეისათვის უაღრესად მაღალ დონეს მიაღწია. პრემიერ-მინისტრმა ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ურთიერთობის შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. (საქდესი).

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია მოსკოვში

**15 ივლისს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა კრემლში მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის სუნ ძიანის მეთაურობით. დელეგაცია მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირში ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეების და „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერება და ტექნიკა" გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით.

აღნიშნეს რა ბოლო წლებში საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის განვითარებაში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი, საუბრის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ჩინეთში მ. ს. გორბაჩოვის ამასწინანდელი ვიზიტის შედეგებს. პეკინში გამართულმა შეხვედრებმა და მოლაპარაკებამ ორივე ხალხის ინტერესებისა და საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის თანამიმდევრული გაფართოებისა და გაღრმავების ახალი შესაძლებლობები დასახეს.

ნ. ი. რიჟკოვი შეეხო სსრ კავშირში სოციალისტური განახლების პროცესების საერთო კომპლექსში მეცნიერებისა და ტექნიკის მზარდ როლს და აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ახლა აქტიურად წყდება სამოქალაქო პროდუქციის წარმოებაში იმ დიდი სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილების ფართო გამოყენების ამოცანა, რომელიც შეიძინეს მრეწველობის თავდაცვითმა დარგებმა.

რადგან თანამედროვე ურთიერთდაკავშირებული მსოფლიოში მეცნიერების მიღწევები საკაცობრიო საკუთრება ხდება, საბჭოთა კავშირი კარს უხსნის ფართო თანამშრომლობას მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში. ჩინეთთან ურთიერთობაში ასეთი თანამშრომლობა ამასთან კეთილმეზობლობის განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი ხდება. ამას ცხადყოფს სსრ კავშირში მიმდინარე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეები, რომლებიც სტიმულს აძლევს რეზერვების ძიებას, მოწმობს მაღალტექნოლოგიურ დარგებში თანამშრომლობის დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს.

სუ ძიანმა თქვა, რომ სსრ კავშირში ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეები, ისევე როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1988 წლის ნოემბერში მოწყობილი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დღეები, ასახავს ერთმანეთის მიმართ ორივე ხალხის მზარდ ინტერესს, ხელს უწყობენ მრავალი მიმართულებით საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის გაფართოებას. აღნიშნა რა ფუნდამენტური კვლევის დარგებში საბჭოთა მეცნიერების მოწინავე მდგომარეობა, სუ ძიანმა გამოთქვა იმედი, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის დღეების პერიოდში გაღრმავდება საბჭოთა და ჩინელი სპეციალისტების, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკების შემოქმედებითი კონტაქტები. გამოფენა, რომელმაც მუშაობა დაიწყო, საბჭოთა ადამიანებს უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნის, თუ რა მიღწევები მოიპოვა ჩინეთმა სოციალისტური მოდერნიზაციის სრულყოფის გზაზე და ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობაში შემდგომ პროგრესს.

მეგობრული საუბრის დროს, რომელიც მიმდინარეობდა ურთიერთგაგებისა და გულახდილობის სულისკვეთებით, გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის თანამშრომლობის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების თაობაზე.

# საქართველოს პარტორგანიზაცია: მუშავდება ეროვნული განვითარების კონცეფცია

**15 ივლისს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ეროვნული განვითარების სფეროში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის კონცეფციის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფების გაერთიანებული სხდომა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთხუთმეტე პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად შექმნილმა ამ კომისიებმა უნდა მოამზადონ დოკუმენტი, რომელშიც ღრმად და ყოველმხრივ უნდა აისახოს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის, დემოგრაფიული და ეკოლოგიური პოლიტიკის საკითხები. ამ დოკუმენტმა ზუსტად უნდა განსაზღვროს რესპუბლიკის პარტორგანიზაციის პოზიცია, სტრატეგია და ტაქტიკა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, გამოკვეთოს უახლოესი მომავლისა და პერსპექტივისათვის მოქმედების რეალური პროგრამა.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გურამ მუჩაიძე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევან ალექსიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვახტანგ ჯაოშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გურამ ყორანაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რისმაგ გორდეზიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე ედუარდ კოდუა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მარიამ ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი, საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარე რევაზ ღლონტი, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, მწერალი ლევან სანიკიძე და სხვები.

სჯა-ბაასი გულახდილი და ღრმად დაინტერესებული იყო. მან მოიცვა მომავალი დიდი და უაღრესად ძნელი მუშაობის პრაქტიკულად ყველა ასპექტი. რესპუბლიკის მომავლის, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გამო შეფიქრიანებულმა სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს კონსტრუქციული წინადადებანი ცხოვრების მიერ წამოყენებული საქართველოს ეროვნული აღორძინების პრობლემის მთელ სპექტრზე.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის კონცეფციის შემუშავება ეროვნული განვითარების სფეროში მეტად რთული, მრავალპლანიანი და, ამავე დროს, უაღრესად პასუხსაგებია. აქ დაუშვებელია რაიმე შეცდომა და უზუსტობა. არ უნდა გამოგვრჩეს არც ერთი ასპექტი, პრობლემის არც ერთი წახნაგი, მკაფიოდ უნდა გავიზიაროთ და გავაცნობიეროთ წარსულის გაკვეთილები, დღევანდელი ვითარება და პერსპექტივა. სწორედ ამით განისაზღვრა იმის საჭიროება, რომ დემოკრატიულ საფუძველზე შექმნილიყო ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემმუშავებელი შვიდი სამუშაო ჯგუფი. ესენია პოლიტიკური განვითარების, ეკონომიკური განვითარების, სოციალური განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარების, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის, რესპუბლიკაში დემოგრაფიული და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების საკითხთა ჯგუფები და სარედაქციო ჯგუფი. მათ შემადგენლობაში, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად, ფართოდ არიან წარმოდგენილი თვალსაჩინო მეცნიერები — ისტორიკოსები და იურისტები, ეკონომისტები, საზოგადოებათმცოდნეები, კულტურის

(დასასრული მე-2 გვ.).

# აფხაზეთის ამბების გამო

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ამა წლის 15 ივლისსა და 16 ივლისის დამდეგს ქალაქ სოხუმში მოსახლეობის აფხაზ და ქართულ ნაწილს შორის მოხდა შეტაკება, რის შედეგად არის მსხვერპლი, დაშავებულები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს და ახლობლებს.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ ამ რთულ ვითარებაში აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მთელი საქართველოს მშრომელები კეთილგონიერებას, სალ აზრსა და დიდ პასუხისმგებლობას გამოიჩენენ. ყველას ზნეობრივი ვალია, ვინც პატივს სცემს ჩვენს წინაპართა ხსოვნას, ვისთვისაც ყველაზე მაღლა დგას მშვიდობა და თანხმობა მშობლიურ მიწაზე, ვინც ფიქრობს თავის ხალხსა და მის მომავალზე, ხელი შეუწყოს პარტიულ, საბჭოთა, სამართალდამცვით ორგანოებს წესრიგის აღდგენასა და ვითარების სტაბილიზაციაში.

| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
|---|---|---|

# ვითარება გამწვავებულია

**ამა წლის** 15 ივლისსა და 16 ივლისის დამდეგს ქალაქ სოხუმში მკვეთრად გამწვავდა ვითარება, რასაც მოჰყვა შეტაკებანი ეროვნებათაშორის ნიადაგზე. ვითარების დაძაბვის საბაბი იყო სოხუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა. ფილიალის შენობას ალყა შემოარტყეს აგრესიულად განწყობილმა აფხაზებმა, რომლებმაც პროვოკაციულად გამოიწვიეს შეტაკება. შეტაკების დროს გამოიყენეს ჯოხები, ქვები, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი. არსებული ცნობების თანახმად, აფხაზი და ქართველი ეროვნების ჯგუფების შეტაკების შედეგად ორივე მხარეს დაიღუპა 14 კაცი, ჰოსპიტალიზებულია 137 კაცი, აქედან 15 მძიმე მდგომარეობაშია; 70 კაცი უკვე გაეწერა საავადმყოფოდან.

თბილისიდან სოხუმში გაიგზავნა მედიცინის მუშაკთა დიდი ჯგუფი. ყველაფერი კეთდება დაშავებულთა დასახმარებლად.

ვითარება ქალაქ სოხუმში, აფხაზეთის მთელ რიგ რაიონებსა და მიმდებარე დასავლეთ საქართველოს რაიონებში კვლავ დაძაბულია.

აფხაზეთის პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები, აქ გამოგზავნილი მილიციისა და შინაგანი ჯარების რაზმები შესაბამის მუშაობას ეწევიან წესრიგისა და სიმშვიდის აღსადგენად.

ამჟამად ვითარებას კონტროლს უწევენ მილიციისა და შინაგანი ჯარების ძალები.

მომხდარ ფაქტებს პროკურატურის ორგანოები იძიებენ. ყველა დამნაშავე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იმყოფებიან ამხანაგები გ. გ. გუმბარიძე, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ვ. შატალინი, რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა და მინისტრთა საბჭოებმა სამძიმარი გამოუცხადეს დაღუპულთა ოჯახებს და ახლობლებს. ერთობლივად მიღებული მიმართვა, რომლითაც აფხაზეთის ასსრ ტელევიზიით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გუმბარიძე და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხიშბა, შეიცავდა მოწოდებას მოსახლეობისადმი გამოიჩინონ კეთილგონიერება, სალი აზრი და მაღალი პასუხისმგებლობა, მხარში ამოუდგნენ პარტიულ, საბჭოთა და სამართალდამცავ ორგანოებს ვითარების სტაბილიზაციის საქმეში.

ამხანაგები გ. გ. გუმბარიძე, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა ქ. სოხუმში, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში შეხვდნენ და ესაუბრნენ ქართველ და აფხაზ მოსახლეობას, ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა აქტივს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში ინერტულად, უინიციატივოდ იქცეოდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები, შესუსტებულია პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა. დასახულია ვითარების სტაბილიზაციის ოპერატიულ ღონისძიებათა კომპლექსი.

(საქინფორმი).

# საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში კვლავ უაღრესად სერიოზული ვითარებაა. 16 ივლისს ღამით ცალკეულ კერებში გრძელდებოდა აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის მცირერიცხოვანი შეტაკებანი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. ასეთმა შეტაკებებმა იფეთქა ბარათაშვილის ბაქნის და ჭანბას ქუჩის მიდამოებში, გულრიფშის რაიონში და სხვა ადგილებში.

ლენინის მოედანზე თავი მოიყარეს აფხაზი მოსახლეობის წარმომადგენლებმა — სოხუმელებმა, ოჩამჩირელებმა, ტყვარჩელელებმა, გაგრელებმა, გუდაუთელებმა, სულ დაახლოებით 5 ათასმა კაცმა, რომელთაგან ბევრი შეიარაღებული იყო. 15 საათისათვის ძირითადად მოხერხდა თავშეყრილთა დარწმუნება, რომ დაეტოვებინათ მოედანი და ავტობუსებით დაბრუნებულიყვნენ თავ-თავიანთ რაიონებში. კინოთეატრ „აფსნისთან" თბილისის გზატკეცილის მიდამოებში შეიკრიბა ქართველი მოსახლეობის შეიარაღებული ჯგუფი — ათასამდე კაცი, რომლებიც აჩერებდნენ ავტოტრანსპორტს. ამოწმებდნენ მას იარაღის აღმოსაჩენად. იყო ავტომანქანებისათვის ცეცხლის დაშენის ფაქტები.

16 ივლისს დღისით სოხუმის შესასვლელთან, გუმისთის ხიდის რაიონში რამდენიმე საათს გრძელდებოდა სროლა აფხაზთა და ქართველთა შორის. სროლაში ორივე მხრიდან მონაწილეობდა დაახლოებით 400 კაცი. არიან დაჭრილები.

გალის, სოხუმის, გუდაუთის რაიონებსა და ქალაქ ტყვარჩელში მოეწყო თავდასხმები ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობებზე, არასაუწყებო დაცვის საგუშაგოებზე, სპორტსაზოგადოება „დინამოს" სასროლეთზე, გატაცებულია ცეცხლსასროლი იარაღი, აფხაზებმა ლიანდაგი აჰყარეს რამდენიმე ათეულ მეტრ რკინიგზის ვაკისზე. სოხუმში უცნობმა პირებმა ავტომანქანიდან დაუშინეს ცეცხლი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს და დაჭრეს ერთი კაცი.

რთული ვითარება შეიქმნა ოჩამჩირის რაიონში. აქ მთელ რიგ ადგილებში მოხდა შეიარაღებული შეტაკებანი აფხაზებსა და ქართველებს შორის. მდგომარეობას აუარესებს ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონებიდან, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ გალის რაიონიდან ოჩამჩირისაკენ დაიძრა შეიარაღებულ ადამიანთა დიდი ჯგუფი. ქალაქის მახლობლად, მდინარე ღალიძგის ხიდთან იგი შეაჩერეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალებმა. გრძელდება სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ბრიგადების, აგრეთვე სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოების მძღოლთა ნაწილის გაფიცვა.

16 ივლისს დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით ასევე მოეწყო თავდასხმები მცველებზე, შინაგან საქმეთა განყოფილებების შენობებზე, სხვა ადგილებზე, სადაც იარაღი ინახებოდა. შინაგან საქმეთა ზოგიერთ განყოფილებაში თავდამსხმელებმა ძალის გამოყენებით ხელთ იგდეს როგორც მოსახლეობისათვის ჩამორთმეული სანადირო თოფები, ისე შინაგან საქმეთა ორგანოების კუთვნილი იარაღი. ქალაქ ზუგდიდში ხელთ იგდეს საგამოძიებო იზოლატორი, რის შედეგადაც გაიქცა განსასჯელთა ნაწილი. მათ შორის არიან წინათ არაერთგზის ნასამართლევი პირნი, გატაცებულია დიდძალი იარაღი. მიღებული ზომების შედეგად დაკავებულია ან თავისი ნებით დაბრუნდა 20 კაცი. დაბრუნებულია იარაღის ნაწილი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალებით ხორციელდება გადამწყვეტი ღონისძიებანი ვითარების სტაბილიზაციისათვის. ჩამოდიან შინაგანი ჯარების დამატებითი ძალები, მოვლინებული არიან სპეციალური ოპერატიულ-საგამოძიებო ბრიგადები არეულობის წამომწყებთა და წამქეზებელთა გამოსავლენად და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად. მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ყოველ ფაქტს მიეცემა შეფასება კანონის მთელი სიმკაცრით. ხორციელდება აქტიური ღონისძიებანი მოსახლეობისათვის იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების ჩამოსართმევად.

სულ მასობრივი არეულობის დროს 15 და 16 ივლისს ცივი და ცეცხლსასროლი იარაღით დაიღუპა 14 კაცი. ავტონომიური რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებს მიმართა 280 კაცმა, ჰოსპიტალიზებულია 187 დაშავებული. მძიმე მდგომარეობაშია 15 კაცი, მათ შორის 4 მილიციის თანამშრომელი.

უკიდურესად დაძაბული ვითარების გამო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოსახლეობას მოუწოდებს გამოიჩინონ თავდაჭერა და თავშეკავება, მოქალაქეობრივი შეგნება, ნებით ჩააბარონ გატაცებული იარაღი, დაუყოვნებლივ მიაწოდონ მილიციის ორგანოებს ყოველგვარი ინფორმაცია იარაღის ადგილსამყოფელის შესახებ, განუხრელად დაემორჩილონ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა კანონიერ მოთხოვნებს. ურჩობის შემთხვევაში, მთელი სიმკაცრით იქნება გამოყენებული ღონისძიებანი, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული საგანგებო ვითარების პირობებში.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ჩასვლა რესპუბლიკის ახლომდებარე რაიონების მოქალაქეებს შეზღუდული აქვთ. მოვუწოდებთ მოსახლეობას, ნუ გაემგზავრებიან ამ მიმართულებით, ალაგმეთ ჭორების გავრცელება, თითქოს ქართველ მოსახლეობას დახმარება სჭირდებოდეს, ნუ აჰყვებიან კანონის დამრღვევთ, რომლებიც ისწრაფვიან სისხლისღვრის გზით მოშალონ ვითარება რესპუბლიკაში.

უფროსი თაობის წარმომადგენლებს და მშობლებს ვთხოვთ, ტრაგიკული შედეგების თავიდან ასაცილებლად არ დაუშვან ახალგაზრდობის, ყმაწვილების, ბავშვების მონაწილეობა არავითარ ექსცესებში, მიტინგებში, მსვლელობებში, მოუხმონ მათ კეთილგონიერებისაკენ შეძლებისდაგვარად, ნუ მოსცილდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს.

პარტიული, საბჭოთა, სამართალდამცველი ორგანოები კონტროლს უწევენ მდგომარეობას.

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ჯგუფი.**

# ასე განვითარდა მოვლენები

**ვითარება** დღეს აფხაზეთში ერთობ რთულია. აი, როგორ განვითარდა აქ მოვლენები 24 ივნისის შემდეგ.

24 ივნისს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადება 1989-1990 სასწავლო წლისათვის მიღების პირობების შესახებ. ერთდროულად დაიბეჭდა აღნიშნული უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში მიღების პირობებიც. ამ გარემოებამ აფხაზი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი პროტესტის ნიშნად აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის თეატრში შეიკრიბნენ.

1 ივლისს სოხუმში გაიმართა შეხვედრა იმ დღეს მოსკოვიდან დაბრუნებული დელეგაციის წევრებთან, რომლებიც დედაქალაქში 2 დღის წინათ გაემგზავრნენ სპეციალური მისიით. ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი სოიდ ტარკილი. მან აღნიშნა, რომ შეხვდნენ და ესაუბრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებს ვ. მედვედევსა და ვ. ჩებრიკოვს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნიშანოვს და ამ საბჭოს ეროვნებათა პოლიტიკისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხების მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს გ. ტარაზევიჩს. ამ საუბრების დროს ყურადღების ცენტრში ყოფილა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთლიანობის შენარჩუნებისა და ამ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა კომისიის აფხაზეთში გაგზავნის საკითხები.

შეხვედრაზე გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, აფხაზეთის სახალხო პოეტი, სოციალისტური შრომის გმირი ბაგრატ შინქუბა, რომელმაც შეკრებილთ ამცნო, აფხაზეთში ესოდენ ავტორიტეტული კომისიის გამოგზავნის საკითხი გადაწყდაო. გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები: სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პარტკომის მდივანი, პროფესორი ტ. შამბა და აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, აფხაზეთის სახალხო ფორუმის თავმჯდომარე ა. გოგუა, ყაბარდო-ბალყარეთის სახალხო ფორუმის წევრი, მხატვარი რ. ცრიმოვი. შეკრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს საპროტესტო აქცია კომისიის ჩამოსვლამდე გაეგრძელებინათ.

3 ივლისს, საღამოს, სოხუმში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა კომისია, რომელიც შეუდგა აფხაზეთის ასს რესპუბლიკისაგან სახალხო დეპუტატთა მიმართვის შესწავლას. კომისიას თავმჯდომარეობდა კრასნოიარსკის სამხარეო საბჭოს აღმასკომის ჩრდილოეთისა და არქტიკის ხალხების განყოფილების გამგე მ. მონგო. კომისიის წევრები იყვნენ გაზეთ „იზვესტიის" საკუთარი კორესპონდენტი კრასნოიარსკის მხარისა და ტუვის ასს რესპუბლიკაში ლ. ბატინსკაია, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სლავთმცოდნეობისა და ბალკანისტიკის ინსტიტუტის სექტორის გამგე ვ. ივანოვი, უკრაინის სსრ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ლ. პერელიგინა, სსრ კავშირ-

(დასასრული მე-2 გვ.).

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

შემოაქვთ წინადადება, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს **ვ. ა. კრიუჩკოვი.** კანდიდატმა დაწვრილებით გააცნო დეპუტატებს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საქმიანობის ყველა მხარე. მან ილაპარაკა დაზვერვის, კონტრდაზვერვის, სასაზღვრო ჯარების ამოცანებზე, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მრავალმა ამ ფუნქციამ ჩვენი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის მსვლელობაში თვისებრივი ცვლილებანი განიცადა. მაგალითად, საერთაშორისო ტერორიზმის, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ამ ბოლო დროს მთელი რიგი ერთობლივი ოპერაციები განახორციელეს სხვა ქვეყნების, მათ შორის კაპიტალისტური ქვეყნების სპეცსამსახურებთან ერთად.

გარდაქმნა შეეხო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების მუშაობის არსს, ფორმებსა და მეთოდებს. ისინი განუხრელად უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოებას და სახელმწიფოს.

იმ ახალ ამოცანათა შორის, რომლებსაც ცხოვრება აყენებს კომიტეტის წინაშე, ორატორმა დაასახელა კომერციულ საიდუმლოებათა წინანდელზე უფრო გულმოდგინე დაცვა, საზოგადოებრივი და ეროვნებათშორისი კონფლიქტების აღკვეთაში მონაწილეობა. ახალი მიდგომები ხორციელდება სახელმწიფო საზღვრის დაცვაში. ამ ზონაში, მაგალითად, მნიშვნელოვნად იკლო სახალხო-სამეურნეო საქმიანობის შეზღუდვებმა.

კრიმინოგენური ვითარება ქვეყანაში გართულდა. ამან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებისაგან მოითხოვა ჩაბმულიყვნენ დამნაშავეობასთან, და უწინარეს ყოვლისა, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლაში. ეს არის ახლა მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება.

თავიანთ საქმიანობაში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოები მკაცრად იცავენ სოციალისტურ კანონიერებას, ნორმატიულ აქტებს, რომელთაგან ზოგიერთს, თქვა ორატორმა, განახლება სჭირდება. მთავრობის წევრობის კანდიდატმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს აღუთქვა, რომ ახლა საქმის ვითარება სწორედ ასეთია, მაგრამ, თქვა მან, კანონზომიერია კითხვა — სად არის გარანტიები, რომ 1937 წლის ჩრდილი მაინც არ დაადგება სახელმწიფო უშიშროების მუშაობას. ასეთი გარანტიები, თქვა მან, უნდა წარმოადგენდეს ღონისძიებათა მთელ სისტემას, რომლებიც გამორიცხავს ამ მხრივ ყოველგვარ შიშს.

კომიტეტი დიდ მუშაობას ეწევა სტალინური ბოროტმოქმედებების მსხვერპლთა რეაბილიტაციისათვის. მისი პოლიტიკური და ემოციური ასპექტები ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახალგაზრდა ჩეკისტებისათვის, მათი იდეურ-ზნეობრივი ფორმირებისათვის. გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა განვამტკიცოთ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების კავშირურთიერთობა საბჭოთა ხალხთან, საზოგადოებრიობასთან, განვახორციელოთ მუდმივი კონტროლი საბჭოთა ხელისუფლების მხრივ მათი საქმიანობისადმი.

ვ. ა. კრიუჩკოვმა უპასუხა მრავალ კითხვას.

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ხ. ა. ფარგიევი, ნ. ვ. ბრიტვინი, ვ. ნ. ფომინიხი, მ. ი. ლაურისტინი, ნ. ნ. ენგვერი, ა. ა. სობჩაკი, ბ. ნ. ელცინი** და **ვ. ლ. ლაპიგინი.** მხარი დაუჭირეს რა კანდიდატურას, მათ ამავე დროს დასვეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების მუშაობის საკანონმდებლო საფუძვლის განმტკიცებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

ხმის უმრავლესობით ვ. ა. კრიუჩკოვი დაინიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ.

შემოაქვთ წინადადება სსრ კავშირის მინისტრად დაამტკიცონ **ლ. ე. დავლეტოვა.** ტრიბუნაზე ასულმა კანდიდატმა ილაპარაკა იმაზე, რა უნდა გააკეთოს ახალმა კომიტეტმა იმისათვის, რომ დახლებზე გაჩნდეს მსუბუქი მრეწველობის საქონელი. ამ დარგის მუშაობას, აღნიშნა მან, მკაცრად და სამართლიანად აკრიტიკებენ. ორატორმა მოკლედ გააანალიზა არასასიკეთო მდგომარეობის მიზეზები.

საკითხის განუხილავად ხმის უმრავლესობით ლ. ე. დავლეტოვა დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრად.

ცნობისათვის სიტყვას იღებს დეპუტატი **მ. ნ. რახმანოვა.** მოიწონა რა დანიშვნა, მან გამოთქვა თავისი თვალსაზრისი, რომ საჭიროა უფრო ფართოდ დავაწინაუროთ ქალები ხელმძღვანელ პოსტებზე. ეს, მისი აზრით, შეესაბამება საბჭოთა საზოგადოებაში ქალთა მზარდ როლს.

ტრადიციისამებრ სხდომის დასასრულს დეპუტატებმა განიხილეს რამდენიმე საკითხი.

ნენეთა ავტონომიური ოლქის 60 წლისთავთან დაკავშირებით უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა მისალმება გაუგზავნოს მის მშრომელებს.

საკანონმდებლო ინიციატივის წესით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ უმაღლეს საბჭოს წარუდგინეს კოლექტიური შრომითი დავის გადაჭრის წესის შესახებ კანონის პროექტი. სესიამ დაავალა კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს და კავშირის საბჭოს შრომის, ფასებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხთა კომისიას განიხილონ კანონის პროექტი და უმაღლეს საბჭოს წარუდგინონ თავიანთი დასკვნა.

სესიის განსახილველად დეპუტატმა **ო. ო. სულეიმანოვმა** შეიტანა ორი წინადადება.

პირველი. ხალხების მიმართ რეპრესიების პრაქტიკის დამგმობი და მათი სრული რეაბილიტაციის დოკუმენტის პროექტის მომზადების შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ დაავალა კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს, აგრეთვე ეროვნებათა საბჭოს ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომისიას მოამზადონ ასეთი დოკუმენტის პროექტი და მისი განხილვა შეიტანონ მომდევნო სესიის დღის წესრიგში.

მეორე. მომზადდეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა და კონკრეტული წინადადებანი მორატორიუმისა და ბირთვული გამოცდის შეწყვეტის საკითხის გამო.

გადაწყდა მომზადდეს მიმართვის ტექსტი.

მრავალმა დეპუტატმა ითხოვა სესიას გააცნონ, თუ როგორ მიმდინარეობს ბაშკირეთში მომხდარი რკინიგზის კატასტროფის მიება.

სესიის მონაწილეებს აცნობეს, რომ ინფორმაციას ამ კატასტროფის შესახებ წარმოადგენენ ერთ-ერთ სხდომაზე.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავთან დაკავშირებით უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საფრანგეთის ეროვნულ კრებას და ხალხს გაუგზავნონ მისალმება.

განიხილეს სხვა საკითხებიც.

სხდომა დამთავრდა.

17 ივლისს სესია მუშაობას განაგრძობდა. (საქდისი).

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „კომუნისტი" № 168.

---

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# პრობლემები მომწიფდა, საჭიროა სასწრაფო ღონისძიებები

ბიბლიოთეკა

**რესპუბლიკის** ეკონომიკა მთელი რიგი განხორციელებული ღონისძიების მიუხედავად, კვლავ კრიზისულ მდგომარეობაშია. გავიდა მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვე, მაგრამ განსაკუთრებული ცვლილებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების დინამიკის გაუმჯობესებაში არ იგრძნობა. გარდაქმნის პროცესები ნელა მიმდინარეობს. ყოველდღე ჩნდება ახალ-ახალი ექსტრემალური სიტუაციები, მწიფდება პრობლემები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სოციალურ სფეროში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორ დავაღწიოთ თავი ჩამორჩენას, როგორ ავინაზღაუროთ დანაკლისი, გავაჯანსაღოთ ვითარება და დავამყაროთ წესრიგი რესპუბლიკაში? ეს იყო მთავარი საკითხები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პირველი ნახევარწლეულის გეგმის შესრულების შედეგებისა და სამომავლო ამოცანების განხილვის დროს.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ომარ ვარძელაშვილი, სახალხო განათლების მინისტრი გურამ ენუქიძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სახაგრომრეწვის თავმჯდომარე გურამ მგელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოთარ ქვილითაია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვალერიან ვადაჭკორია, ზურაბ ლაბახუა, მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, დიდი საწარმოების ხელმძღვანელები.

სხდომამ გულახდილად, საქმიანად გააანალიზა შექმნილი მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ნეგატიურმა პროცესებმა მოიცვა ჩვენი ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი უბანი, წლის დამდეგიდან მკვეთრად შენელდა წარმოების ტემპი, გაუარესდა ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაც უაღრესად უარყოფითად მოქმედებს ხალხის კეთილდღეობაზე. მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობის ზრდამ შეადგინა მხოლოდ 2,2 პროცენტი, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 3,7. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა ეროვნული შემოსავლის მოცულობის ზრდასთან დაკავშირებით. მან შეადგინა 4 მილიარდ 376 მილიონი მანეთი, რაც მხოლოდ 1,7 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. 111 საწარმოო გაერთიანებამ და საწარმომ ვერ შეასრულა სახელმწიფო შეკვეთებით და მომხმარებელთან უშუალო ურთიერთობით განსაზღვრული სახელშეკრულებო ვალდებულებანი. მათ მომხმარებელს დააკლეს 51 მილიონი მანეთის პროდუქცია. განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა მსუბუქ მრეწველობაში და სახაგრომრეწვის საწარმოებში. თავი იჩინა გარკვეულმა სიძნელეებმა საკასო გეგმის შესრულებაში და ნაღდი ფულით დროული ანგარიშსწორების განხორციელებაში. იზრდება ემისია.

ბევრი ნაკლია აგროსამრეწველო სექტორშიც. ისეთ რაიონებში, როგორიცაა ხონის, ზესტაფონის, მცხეთის, გურჯაანის, თეთრი წყაროს, თერჯოლის, სამტრედიის, სიღნაღის, წითელწყაროს და ბოლნისისი რაიონები, ქალაქ წყალტუბოს ზონაში მოსავლიანობა საშუალო რესპუბლიკურ დონეზე დაბალია. 1987 წლიდან რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოველწლიურად მცირდება ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა. ამბროლაურის, ასპინძის, გორის, ზუგდიდის, მარნეულის, ონის და სხვა რაიონებში შემცირდა ყველა სახეობის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

გასაუმჯობესებელია კაპიტალური და საბინაო საყოფაცხოვრებო მშენებლობა. არ შესრულებულა საიჯარო სამუშაოების მოცულობა, რომლებსაც სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები საკუთარი ძალებით ახორციელებენ.

სხდომაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო რესპუბლიკის სოციალური განვითარების საკითხებს. აქ ბევრი ნაკლია, რომლებიც ძალზე ნელა აღმოიფხვრება. სისტემატურად, ყოველ თვეს იფუშება სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების ჩაბარების გეგმები. გაუარესდა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა. ირღვევა სოციალური სამართლიანობის პრინციპები. მნიშვნელოვანი მასშტაბი შეიძინა შრომის, საწარმოო, ფინანსური დისციპლინის დარღვევებმა, სოციალისტური საკუთრების დატაცებამ, წამატებებმა, სხვა სამართალდარღვევებმა. ყოველივე ამან რესპუბლიკაში შექმნა არაჯანსაღი მორალურ-ზნეობრივი ატმოსფერო, რაც ყველა პატიოსანი მშრომელის შეშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს. ასეთ ვითარებაში, როგორც სხდომაზე აღინიშნა, ყველა სამინისტრომ, უწყებამ, ადგილობრივმა საბჭოთა ორგანომ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული პროგრამა შექმნილი მძიმე ვითარების დასაძლევად.

მწვავედ გააკრიტიკეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო. უმაღლეს სასწავლებლებში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სუსტია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის როლი ახალგაზრდობის მეცნიერული მსოფლმხედველობის, იდეურ-ზნეობრივ, მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებაში. შეშფოთებით აღინიშნა, რომ ახალციხის, ახალქალაქის, ბოლნისის, მარნეულის და გარდაბნის რაიონების ქართულ სკოლებში აკლიათ ქართული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის, სხვა საგნების პედაგოგები. პედაგოგთა არასაკმარისი კონტინგენტია ამბროლაურის, ონის, მესტიის, ცაგერის, ხულოს, შუახევის, ქედისა და სხვა რაიონების სკოლებშიც. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მხოლოდ იმის გამო, რომ ბევრ სკოლაში არ ჰყავთ პედაგოგები, შეწყდა მთელი რიგი საგნების სწავლება. და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის დედაქალაქში პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების ათასობით კურსდამთავრებული წლობით დგას აღრიცხვაზე სკოლებში ადგილის მისაღებად.

გააკრიტიკეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საქმიანობაც. სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, რომ საქართველოს პირველი ადგილი უკავია ქვეყანაში ყოველ ათას კაცზე ექიმების რაოდენობით, აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს. ბევრ რაიონში განსაკუთრებით ისეთი მაღალი მთის რაიონებში, როგორიცაა ლენტეხის, წალენჯიხის, ხარაგაულის, ახალქალაქის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონები, აკლიათ ათი-ოცი და მეტი ექიმი, თბილისში კი ბევრი ნახევარ და მეოთხედ განაკვეთზე მუშაობს; 543 ექიმი პრაქტიკულად უმოქმედოდ არის ვაკანტური ადგილების მოლოდინში. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მეტად დაბალი დონის, სანიტარიული ჰიგიენის გაუთავებელი უხეში დარღვევების გამო გახშირდა ტიფით, ვირუსული ჰეპატიტით, სხვა ინფექციური სნეულებებით დაავადება. კვლავ მაღალია ბავშვთა ავადმყოფობა და სიკვდილიანობა.

რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენს მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელ მიმდინარეობაზე. მრავალი ხელმძღვანელის უპასუხისმგებლო, დაუდევარი დამოკიდებულების გამო კვლავ ჭუჭყიანდება შავი ზღვა, მდინარეები, ტბები, მტაცებლურად ამუშავებენ წიაღისეულს, ჩეხენ ტყეებს, სხდომამ მოითხოვა, რომ მეცნიერებმა, ექიმებმა, წარმოების მუშაკებმა, მთელმა საზოგადოებრიობამ გაერთიანებული ძალებით იმოქმედონ გარემოს დაცვის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ელექტროენერგიის, ნავთობის, გაზის მომჭირნედ გამოყენების საკითხებს. რესპუბლიკაში მათი მიღების მდგომარეობა ძნელდება იმის გამო, რომ ქვეყნის სხვა რესპუბლიკებიდან მათი მიმწოდებლები გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე და კანონზომიერად მოითხოვენ დროულ ანაზღაურებას მიწოდებული პროდუქციისათვის. სხდომამ მოითხოვა, რომ ყველა ორგანიზაციამ დაზოგოს ელექტროენერგია და საწვავი; შეიმუშაონ ღონისძიებანი, რათა შეცვალონ ისინი, სადაც შესაძლებელია, არატრადიციული სახეობის ენერგიით. რესპუბლიკაში მიმდინარე გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი იდეაა, აღინიშნა სხდომაზე, დემოკრატიის, სახალხო თვითმმართველობის განვითარება. იგი ორგანულად უკავშირდება მასების გააქტიურებას, პიროვნების შეგნების განთავისუფლებას. ამაში მთავარი როლი განეკუთვნებათ ადგილობრივ — საბჭოებს — საოლქოს, საქალაქოს, რაიონულს. სამწუხაროდ, ადგილობრივი საბჭოების უმრავლესობას არ ძალუძს ფხიზლად, კრიტიკულად შეაფასოს ვითარება, საჭიროდ არ მიიჩნევს ეკონომიკაში, დემოგრაფიაში, სოციალურ და სულიერ სფეროებში კარდინალური ცვლილებების განხორციელებას. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების მრავალ თავმჯდომარეს კვლავ აქვს მიდრეკილება მუშაობის ძველი ადმინისტრაციული მეთოდების, ბიუროკრატიზმისა და დოგმატიზმისადმი. თუ ეს წინათ კეთდებოდა თითქოსდა სამეურნეო მექანიზმში ხარვეზების კომპენსაციის მიზნით, ახლა ასეთი პრაქტიკა ერთიორად საზიანოა. მათ გაბედულად უნდა უარყონ დისპეტჩერის ფუნქციები და დადგნენ ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლის წინა ხაზზე.

ახლა, როცა რესპუბლიკის წინაშე დასახულია ეკონომიკური სუვერენიტეტის გაფართოებისა და განმტკიცების ამოცანა, ყველას და თითოეულ ჩვენგანს მოეთხოვება ერთი რამ — დაძაბული, თავდადებული მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, ხალხის წინაშე, მომავლის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშავა სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების სტრატეგიული მიმართულებანი.

სხდომის მონაწილეთა ყურადღება მიეპყრო რესპუბლიკის მთავრობის ეფექტიანი ფუნქციონირების სტრატეგიულ მიმართულებებს. ნოდარ ჭითანავას მოხსენებაში მკაფიოდ იყო ფორმულირებული ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღების, დემოგრაფიული ვითარების არსებითი შეცვლის, ეკონომიკის, განათლების სისტემის, ჯანმრთელობის დაცვის ყოველმხრივი და დინამიკური განვითარების მთავრობისეული კონცეფციები, დაისახა მომწიფებული პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს მიმართულებები ორგანულად არის ურთიერთდაკავშირებული, ერთმანეთს ავსებენ, და ეს პრობლემები უნდა გადაიჭრას კომპლექსურად, ეტაპობრივად. ასეთია დროის მოთხოვნა.

სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში გამოთქმულია იმედი, რომ უახლოეს დროში საბჭოების, ყველა მშრომელის ძალისხმევით, ვისთვისაც ძვირფასია რესპუბლიკის ინტერესები, აღმოიფხვრება შეცდომები, ხარვეზები, ნაკლოვანებები, რომლებმაც საქართველო ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ალექსანდრე პავშენცევი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბონდო ჯიქია. (საქინფორმი).

---

# საქართველოს პარტორგანიზაცია: მუშავდება ეროვნული განვითარების კონცეფცია

(დასასრული)

მოღვაწენი, პედაგოგები და ჟურნალისტები, ცოდნის სულ სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ცხადია, გაზიარებული იქნება ყველა წინადადება, რომლებიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მათ შემადგენლობას. სასურველი იქნება აგრეთვე არ შემოვიფარგლოთ ამ ჯგუფებში წარმოდგენილი ადამიანებით. უდავოდ სასარგებლო იქნება ამა თუ იმ საკითხის დასაზუსტებლად, რეკომენდაციის მოსამზადებლად სპეციალისტთა მოწვევა, მათთან მოთათბირება. თვით სამუშაო ჯგუფის წევრებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, ერთობლივად გამოიმუშაონ საერთო აზრი. ამ ჯგუფების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალგაზრდობამ და ფართო საზოგადოებრიობამ.

დემოკრატიზაციამ და საჯაროობამ, გარდაქმნის პროცესებმა მკვეთრად გააქტიურა საზოგადოებრივი ცხოვრება, ითქვა სხდომაზე. მათ მთელი სიმწვავით წამოსწიეს წინა პლანზე ეროვნული და ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემები. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება, ენის, კულტურის, ტრადიციების, წარსულის მემკვიდრეობის, სხვა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებისა და მათდამი სათუთი დამოკიდებულებისათვის ზრუნვა. ახლა ადამიანები განსაკუთრებით მტკივნეულად, ძალიან მწვავედ აღიქვამენ ხალხის, რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა შეზღუდვას, ყოველგვარ, უმცირეს დეფორმაციასაც კი ეროვნებათშორის ურთიერთობაში. და არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ამ ობიექტურ რეალობას, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა. საქართველოს კომპარტიისათვის, რესპუბლიკის მთავრობისათვის არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე კონკრეტული მომწიფებული ეროვნული საკითხების გადაწყვეტა. და სწორედ აქ სჭირდებათ მათ დღეს ყველაზე ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერა.

სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მკვეთრად, 180 გრადუსით შემობრუნდება ეროვნული პრობლემების გადაჭრისაკენ, და არ უნდა შეგვაშინოს საკითხის ამგვარმა დაყენებამ, რადგან ეს ერთადერთი სწორი გზაა. მაგრამ ამ პრობლემების გადაჭრას აწონ-დაწონილად და კონსტრუქციულად უნდა ვუდგებოდეთ.

დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გაფართოების ინიციატორი იყო პარტია. ამან მოითხოვა პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების კარდინალური გარდაქმნა. როგორც მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა თავის გამოსვლაში, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, პარტია ღრმა სამინაო ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დგას. იმისათვის, რომ ეფექტიანად შეასრულოს პოლიტიკური ავანგარდის როლი, უზრუნველყოს საზოგადოების კოორდინაცია, გარდაქმნის ამოცანებისა და მიზნების გარშემო კონსოლიდაცია, პარტია სწრაფად უნდა გარდაიქმნას. საქმე ეხება ქვეყნის ბედისათვის კარდინალურ საკითხს — იმას, რომ პარტიის მთელი საქმიანობა შევუსაბამოთ საზოგადოებაში შექმნილ ვითარებას. ამიტომ, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, უფლება არა გვაქვს დავიბნეთ ახალი პოლიტიკური სიტუაციის წინაშე. მოვალენი ვართ ვხედავდეთ პარტიისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მიზეზებს, რადგან ადამიანები ამით აფასებენ გარდაქმნის პრაქტიკას, მის რეალურ შედეგებს. ახლა მთავარია ვიპოვოთ ჩვენი ადგილი, შევცვალოთ მუშაობის სტილი. უდავოა ისიც, რომ პარტიის მთელ საქმიანობას საფუძვლად უნდა დაედოს მშრომელებთან, ხალხთან მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც არც ერთი წუთით არ უნდა შეწყდეს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნის გზაზე ერთ-ერთი პირველი და სერიოზული ნაბიჯი ხდება კიდეც ეროვნული განვითარების მისეული კონცეფციის შემუშავება. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ზრუნვა ეროვნული განვითარებისათვის — ეს არის, უწინარეს ყოვლისა, ზრუნვა ხალხის ინტერესებისათვის: პარტია ხომ ხალხს ეკუთვნის და მხოლოდ მისთვის არსებობს, მის ინტერესებს გამოხატავს. და თუ გვინდა, რომ ეს არ დარჩეს შიშველ კონსტატაციად, თუ გვინდა ეს სიტყვები შეივსოს კონკრეტული, რეალური შინაარსით, კომუნისტებმა, პარტიულმა ორგანიზაციამ ძირფესვიანად უნდა შეცვალონ დამოკიდებულება ეროვნული განვითარების სფეროში დაგროვილი პრობლემებისადმი. უფრო მეტიც, შეცვალონ არა მარტო დამოკიდებულება, არამედ თავიანთ ხელში აიღონ მათი გამოვლენის, ანალიზისა და გადაჭრის საქმე. ამასთან მთავარია გვქონდეს პროგნოზირების უნარი, ვხედავდეთ პერსპექტივას. ამაზე უშუალოდ არის დამოკიდებული პირველადი პარტიული ორგანიზაციების, არჩევითი პარტიული ორგანოებისა და მთლიანად რესპუბლიკის პარტორგანიზაციის ავტორიტეტი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტორგანიზაციას სურს და შეუძლია კიდეც მიიზიდოს ხალხის ფართო ფენები ღრმად მოფიქრებული და გააზრებული, ყოველმხრივ აწონ-დაწონილი ეროვნული განვითარების პროგრამის შესამუშავებლად. სწორედ ასეთმა პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია, გააერთიანოს ქართველი და რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის. მეცადინეობა, მოაწესრიგოს მათი ურთიერთობა. ეროვნული ურთიერთობის სფეროში უწინარეს ყოვლისა გვჭირდება არაორდინარული, არასტანდარტული, გაბედული გადაწყვეტანი. ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის, მკვიდრი ერის ინტერესებისათვის ზრუნვა უნდა გახდეს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერის ინტერესებისათვის ზრუნვის გამოხატულება, რადგან ეს ერთიანი დიალექტიკური პროცესია. ასეთია მკაფიოდ გამოხატული თვალსაზრისი, პოზიცია, შეუქცევადი კურსი, რომელსაც არა აქვს და არც ექნება ალტერნატივა.

აღინიშნა, რომ აუცილებელია მკვეთრად გამიჯნოთ ერთმანეთისაგან ნაციონალიზმისა და ეროვნულის ცნებათა შინაარსი, რომ არ შეიძლება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მომწიფებული პრობლემები, საჯაროობამ, გარდაქმნამ და დემოკრატიამ რომ დააყენა დღის წესრიგში, ნაციონალიზმის გამოვლინებად მივიჩნიოთ, ისევე როგორც ყოვლად დასაგმობია ეროვნებათა ინტერესების დაპირისპირება, მეცნიერული დავისა თუ ყოფითი კონფლიქტების დიდი პოლიტიკის რანგში აყვანა. ისიც ითქვა, რომ ერის კულტურულ საგანძურს ხელოვნურად არაფერი არ უნდა მოაკლდეს, კიდევ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს უსამართლოდ მივიწყებული მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მემკვიდრეობის შესასწავლად და გამოსამზეურებლად.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ეროვნული განვითარების სფეროში წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემების დაყენების, შესწავლისა და გადაჭრის გზაზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შეიქმნა და აქტიურად შეუდგა მუშაობას წარმომადგენლობითი საკოორდინაციო კომისია, რომელიც ამზადებს წინადადებებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის უფართოეს საკითხებზე. მასთან შეიქმნა საქართველოს რეალური სუვერენიტეტის განხორციელების, საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის შემოღების, საქართველოს ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონთა მოქმედების პირობების, ეროვნული საჯარისო ფორმირებების აღდგენისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მის წვევამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის მოხდის საკითხთა სამუშაო ჯგუფები. ამ კომისიის ხელმძღვანელობით მუშაობენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა და საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონთა პროექტების მოსამზადებელი ჯგუფებიც. მუშაობა დაიწყეს აგრეთვე საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების, რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესების შესწავლისა და ამ საკითხზე კონკრეტულ წინადადებათა შემუშავების კომისიებმა. უაღრესად საჭიროა, ითქვა სხდომაზე, რომ ყველა ამ კომისიისა და სამუშაო ჯგუფის საქმიანობა მიმდინარეობდეს სრული საჯაროობის პირობებში, ფართოდ და რეგულარულად შუქდებოდეს პრესაში, რომ მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტები საყოველთაოსახალხო განხილვის საგანი ხდებოდეს.

ამრიგად, პარტიული ორგანიზაცია არ ხდება ერთპიროვნული მონოპოლისტი რესპუბლიკისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში. ამავე დროს ვერ შევურიგდებით იმასაც, რომ ამ საკითხების გადაჭრის უფლებაზე მონოპოლია გამოაცხადოს რომელიმე სხვა უწყებამ, ორგანიზაციამ ან პიროვნებამ. ყველას ერთი სამშობლო გვაქვს, და ამიტომ ხალხის წინაშე მდგომი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ამოცანები უნდა წყდებოდეს ერთობლივი მეცადინეობით, ერთად უნდა ვზრუნავდეთ ჩვენი სულიერი სფეროს, მშობლიური ენის კულტურის განვითარებისათვის, წარსულის მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის.

კონკრეტულად რა უნდა დაედოს საფუძვლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის კონცეფციას ეროვნული განვითარების საკითხზე, რომელიც ახლა მუშავდება? აზრთა ცოცხალმა, კონსტრუქციულმა გაზიარებამ ამ საკითხზე გამოავლინა სხვადასხვა თვალსაზრისი, მაგრამ ორატორები ერთიანი იყვნენ იმაში, რომ საპროგრამო დოკუმენტში მკაფიოდ, არაორაზროვნად უნდა აისახოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთელი პარტორგანიზაციის პოზიცია, მათი დამოკიდებულება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის მომწიფებული პრობლემებისადმი. ეს უნდა იყოს ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვალისწინებული პროგრამა, რომელიც ხალხს, საზოგადოებრიობას მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ წარმოუდგენია საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ჩვენი რესპუბლიკის, ქართველი და საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის მომავალი. კონცეფცია უნდა გამოირჩეოდეს ღრმა დემოკრატიზმით, ჰუმანიზმით, მაქსიმალურად ითვალისწინებდეს აფხაზი და ოსი ხალხების ინტერესებს, ქართულ მიწაზე მშვიდობიანი და მეგობრული ცხოვრებისათვის განაწყობდეს რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენლებს.

ეს ჩვენი ხალხის კეთილშობილური ტრადიციაა. ამასთან სავალდებულოა, რომ არაქართველი მოსახლეობა ჯეროვნად სცემდეს პატივს მკვიდრი ერის კანონიერ ინტერესებს, პატივს სცემდეს მის ენას, კულტურას, ტრადიციებს, ეროვნულ ღირებულებებს. ერთი სიტყვით, საჭიროა გარდაქმნისა და საჯაროობის დროის შესაბამისი არასტანდარტული, არატრაფარეტული პროგრამა, რომელიც გაგვათავისუფლებს წარსულის მძიმე ტვირთისა და დოგმებისაგან. რეალური ვითარებისა და პერსპექტიული ამოცანების გათვალისწინებით კონცეფციამ უნდა ასახოს ყოველივე საჭირბოროტო, რაც ხალხს, ჩვენს საზოგადოებას აწუხებს, წარმოაჩინოს ყველა პრობლემა, რომელთა გადაჭრის ობიექტური საფუძვლები უკვე მომწიფდა და მწიფდება.

ამ საქმეში ნუ დავიწყებთ იმის გარკვევას, ვინ არის ერის მამა, ვინ არის ყველაზე დიდი მამულიშვილი. ჩვენ ახლა შეკავშირება, საერთო ძალისხმევა, თანადგომა და თანამშრომლობა გვჭირდება. უთუოდ უნდა შევინარჩუნოთ სიდინჯე, სიმშვიდე, გონიერება. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა. სიმშვიდე, სიდინჯე, გონიერება გვჭირდება იმისათვის, რომ ამა თუ იმ პროცესმა, ამა თუ იმ მოვლენამ საშიში ხასიათი არ მიიღოს, ექსტრემალურად არ განვითარდეს. ერის სამსახურში უნდა ჩადგეს თითოეული უწყება, ორგანიზაცია, სამსახური, კომუნისტიც და უპარტიოც. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, თვით ერთი შეხედვით წმინდა ტექნიკურ პრობლემასაც კი, ეროვნული განვითარების თვალთახედვით უნდა მივუდგეთ. დღეს დადებითად ვერ შევაფასებთ ვერც ერთი სამინისტროს, უწყების, დაწესებულების, ორგანიზაციის საქმიანობას, რაგინდ კარგი მაჩვენებელიც უნდა ჰქონდეთ, თუ მათი მოქმედება, ყოველი მათი ნაბიჯი არ იქნება აწონილი ეროვნული სარგებლიანობის სასწორზე.

სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ სამუშაო ჯგუფების წევრები, ფართო საზოგადოებრიობა, როგორც ყოველთვის, პასუხისმგებლურად და აქტიურად მოჰკიდებენ ხელს ამ უდიდეს საშვილიშვილო საქმეს — საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის შემუშავებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ყველაზე მთავარი — ამ პროგრამის ხორცშესხმას დასჭირდება დაძაბული შრომა, დახვეწილი პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა, საქმის სიყვარული, ორგანიზებულობა, წესრიგი, მშვიდი ვითარება, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა.

საქართველოს ისე არასოდეს არ გასჭირვებია, როგორც ახლა. ამიტომ სხდომაზე კვლავ და კვლავ ხაზს უსვამდნენ იმ აზრს, რომ საჭიროა საზოგადოების მთელი ძალების კონსოლიდაცია, დიალოგი, გაერთიანება, რათა ეროვნული განვითარების კონცეფცია შევიმუშაოთ უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში, მაღალ ხარისხობრივ დონეზე. რადგან მასზე, იმაზე, თუ რამდენად თანამიმდევრულად და მიზანმიმართულად განხორციელდება იგი, გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული საქართველოს, აქ მცხოვრები ყველა ადამიანის მომავალი.

სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ბ. დ. მახარაშვილი, გ. ა. მეტონიძე, ა. ი. პავშენცევი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ნ. რ. საჯაია, პ. პ. ჩხეიძე.

(საქინფორმი).

---

# აღმასკომის პასუხისმგებლობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის

**რესპუბლიკის** მინისტრთა საბჭომ განიხილა თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების კომპლექსური პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად გაწეული მუშაობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

საკითხის განხილვის დროს აღინიშნა, რომ აღმასკომის საქმიანობაში ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებანია. იგი ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებს, სისტემატურად და თანამიმდევრულად ვერ მართავს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესებს. ამის გამოა, რომ 1988 წელს, საერთო გეგმის შესრულების მიუხედავად, მხოლოდ 93 პროცენტით შესრულდა სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის წარმოების გეგმა და 2,7 მილიონი მანეთის ნაცვლად აწარმოეს 2,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. გაუარესდა მდგომარეობა მიმდინარე წლის 5 თვეში. აღმასკომი არ აკონტროლებს თითოეული საწარმოს, უბნისა და საამქროს მუშაობას, პრაქტიკულად ვერ ახდენს ზემოქმედებას მათ საქმიანობაზე, არ სწავლობს მოთხოვნას სახალხო მოხმარების საქონელზე, არ ზრუნავს ადგილობრივი ნედლეულის უკეთ გამოყენებისათვის, ხელის შრომის ხვედრითი წილის შესამცირებლად, კოლექტივებში შრომისა და ყოფა-ცხოვრების მინიმალური პირობების შესაქმნელადაც კი. მოუწყობელია თერჯოლის მექანიკური და ჩხარის იატაკის ფილების ქარხნების, ქუთაისის სამკერვალო გაერთიანების ჩხარის ფილიალისა და სხვა საწარმოთა შენობები და საამქროები.

ამ ნაკლოვანებათა მიზეზი ისიც არის, რომ თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, რაიონის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ვერ გარდაქმნეს მუშაობა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამის შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. აღმასკომმა 2 წლის დაგვიანებით, ამასთან ზერელედ, ყოველგვარი ანალიზის გარეშე შეადგინა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების რაიონული კომპლექსური პროგრამა, სადაც არ გაითვალისწინა აღნიშნულ დადგენილებაში ჩამოყალიბებული მითითებანი და რეკომენდაციები.

მითითებული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ რაისაბჭოს აღმასკომს სისტემატური კონტაქტები არა აქვს სამინისტროებთან და უწყებებთან, რომელთა საწარმოები და ორგანიზაციები განლაგებულია რაიონის ტერიტორიაზე, ამასთან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა, საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსაშენმასალები" არ უქმნიან ყველა პირობას თერჯოლის რაიონში განლაგებულ თავიანთ საქვეუწყებო საწარმოებს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმების შესასრულებლად.

საქართველოს მინისტრთა საბჭომ თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომისა და მისი თავმჯდომარის გ. მაკარიძის მიერ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობა არასაკმარისად ჩათვალა.

თერჯოლის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს დაევალა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების 1990 წლის პროგრამა და შეადგინოს მისი რეალიზაციის კალენდარულ ღონისძიებათა გეგმა, გადაამუშაოს სახალხო მოხმარების პროდუქციის წარმოების კომპლექსური რაიონული პროგრამა. მასში გაითვალისწინოს ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს რაიონში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაზრდას, ხარისხის გაუმჯობესებასა და ასორტიმენტის გაფართოებას, პროდუქციის წარმოებაში აქტიური მონაწილეობისათვის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მიზიდვას, ადგილობრივი და მეორეული რესურსების გამონახვას, ნედლეულისა და მასალების დაზოგვას, საწარმოო სიმძლავრეთა უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე მოსახლეობის მოთხოვნის მქონე სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი გამოშვების დავალებათა შესრულებას.

მინისტრთა საბჭომ დაავალა რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის (ამხ. სულაძე), საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს (ამხ. ნეფედოვი), ცეკავშირის გამგეობას (ამხ. კონცელიძე), საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსაშენმასალებს" (ამხ. მხეიძე) თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან ერთად 2 თვეში შეიმუშაონ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოთა ტექნიკურ განახლებას, პროდუქციის ასორტიმენტის განახლებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. (საქინფორმი).

---

### წერილი „კომუნისტს"

# კონკრეტულ საქმეს — კონკრეტული შემსრულებელი

**ამ** ბოლო დროს ქ. თბილისში და რესპუბლიკის მასშტაბით შეიქმნა არაერთი სხვადასხვა რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული, მათ შორის — ახალგაზრდული ნებაყოფლობითი გაერთიანება. ბუნებრივია, დღეს, გარდაქმნისა და საჯაროობის ვითარებაში მათ აზრს განხილვა და გათვალისწინება ესაჭიროება, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ კი ეს აზრი, მათი წინადადებები ჭეშმარიტებას ემყარება და საზოგადოების უდიდესი ნაწილი იზიარებს.

ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ბოლო პერიოდში თურქი მესხების, აჭარის ტრაგედიის, ქვემო ქართლში, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში არსებული პრობლემების ირგვლივ ვრცელდება ათასგვარი მოარული ხმები — მართებული თუ უმართებულო, სიტყვიერი თუ წერილობითი, რომლებიც არც თუ იშვიათად ოპერატიული, კონკრეტული და კვალიფიციური განმარტების გარეშე რჩება (ზოგადი ინფორმაციები და საერთო მიმოხილვა კონკრეტულ საკითხებზე კი დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებრივი აზრის სწორად ფორმირებას). ამის შედეგად საზოგადოების სხვადასხვა ფენებში არსებობს არაერთგვაროვანი ინფორმაციები, ისახება წინადადებები და მოქმედების სხვადასხვა გზები, რაც, ბუნებრივია, დამღუპველად მოქმედებს ჩვენს საერთო ეროვნულ მოძრაობაზე, ეროვნული და ეკონომიკური დამოუკიდებლობის საქმეზე (განსაკუთრებით 9 აპრილის შემდგომ), ეროვნულ კონსოლიდაციაზე.

მიმაჩნია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სამინისტროებისა და უწყებების, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებმა, პარტიულმა ფუნქციონერებმა, თუ კი ამის საფუძველი გვაქვს, უნდა განვმარტოთ ამა თუ იმ ინფორმაციის რეალობა ან სიცრუე, შესაბამისად ამ ინფორმაციიდან გამომდინარე გზების დასახვით. ეს განმარტება უნდა იყოს კონკრეტული და წარმოსდგებოდეს კონკრეტულ პირთაგან, რათა თითოეულმა მათგანმა იგრძნოს პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოვედით ფორმალიზმის, შაბლონის ტყვეობიდან, როდესაც ყველაფერზე პასუხს ველოდებით ცენტრალური კომიტეტისაგან. არადა, ყოველ კონკრეტულ საქმეს რესპუბლიკაში კონკრეტული შემსრულებელი ჰყავს (უნდა ჰყავდეს).

დადგა დრო, როდესაც მშვიდი ცხოვრება უნდა დასთმოს ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, რომელსაც ათასობით ადამიანის ბედი აბარია, გამოვიდეს კაბინეტიდან და პასუხი აგოს თითოეულ თავის სიტყვაზე, თითოეულ მოქმედებაზე, აქტიურად ჩაერთოს და შეძლებისდაგვარად ჩააქროს ის არც თუ იშვიათად არასწორი ემოციები, რომელსაც კარგი არაფერი მოუტანია ჩვენი ხალხისათვის (ამის მაგალითები გვაქვს).

იმედი მაქვს ამ წერილის ტონსაც და შინაარსსაც სწორად გამიგებენ ჩემი კოლეგები, გამიგებენ მიზანსაც, რომელიც ჩვენი საერთო საქმის ერთად და, ამავე დროს, ოპერატიულად კეთების სურვილით არის ნაკარნახევი.

**ილია ხუციშვილი,**
**საქართველოს კომპარტიის თბილისის საბურთალოს რაიკომის პირველი მდივანი.**

## საკავშირო მრგვალი მაგიდა

**აფხაზეთში ბოლო დროს მომხდარი ამბები მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის უდიდეს შეშფოთებასა და უსაზღვრო გულისტკივილს იწვევს. აგრესიულად განწყობილი აფხაზების პროვოკაციული გამოხდომების შედეგად ეროვნულ ნიადაგზე მოხდა შეტაკებანი აფხაზებსა და ქართველებს შორის, დაიღვარა სისხლი. აი სანამდე მიგვიყვანა წლების მანძილზე გაუთავებელმა დავამ, უნდობლობისა და განკერძოების ატმოსფერომ, მოვლენებისადმი სუბიექტურმა მიდგომამ, გაუმართლებელი დათმობის პოლიტიკამ.**

**სუბიექტივიზმი და პოზიციების შეუთანხმებლობა, სხვათა შორის, ნათლად გამოვლინდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ ახლახან მოსკოვში ჩატარებული „მრგვალი მაგიდის" დროს, რომელიც მიეძღვნა თემას — „ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში: თეორია და პრაქტიკა". „მრგვალი მაგიდის" მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობდა 13 კაცი. ამჯერად ტრიბუნას ვუთმობთ ორ მათგანს.**

# მთავარი ურთიერთნდობაა

**თვითონ** ფაქტი, რომ მრგვალ მაგიდასთან ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობისა და დისკუსიისათვის შეიკრიბა ესოდენ მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა — მუშაობდა შვიდი სექცია და გაიმართა ორი პლენარული სხდომა, — მიუთითებს იმაზე, რომ წლების განმავლობაში საბოლოოდ მოგვარებულად ჩათვლილი ეროვნული საკითხი თურმე ყველაზე გადაუწყვეტელი ყოფილა.

სწორედ ახლა დადგა დღის წესრიგში საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის სტრატეგიული გადაწყვეტის აუცილებლობის ამოცანა, რადგან ამ გონივრულ კონსტრუქციულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული შეწყდება თუ არა ზოგ-ზოგან მძაფრი ფორმით გამოვლენილი დეინტეგრაციის პროცესი, გამოიძებნება თუ არა შესაძლებლობა გარდაქმნის პლატფორმის მოშველიებით გავაძლიეროთ ჩვენი ფედერაციული ერთიანობა.

დისკუსიაზე ცხადი გახდა, რომ საჭიროა ზუსტი შეფასება მიეცეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობას სსრ კავშირში, ობიექტურად იქნას განხილული ისტორია, გამოაშკარავებულ იქნას ეროვნულ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები, შემუშავდეს განვითარების პერსპექტიული მიმართულებანი.

ცნობილია, რომ ეროვნული პრობლემები ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში არ წყდება — იგი თითქოს არც არსებობს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ სინამდვილეში არ მიმდინარეობდეს ეროვნული პროცესები. ეს პროცესები ეროვნებათშორის ურთიერთობებში ფარულ რეგრესიულ ხასიათს იღებს, თანდათან ხდება ინტერნაციონალიზმის ზნეობრივი შინაარსის გამოფიტვა და მისი გადაქცევა მხოლოდ პოლიტიკურ ლოზუნგად. გარდაქმნის კონცეფცია, საჯაროობა და დემოკრატია მრავალ დახურულ ზონებს ხსნის და ამიტომაც მოხდა ასე ერთბაშად სხვადასხვა რანგის ეროვნული პრობლემების ამოფრქვევა. ისინი სადღეისო, დაუყოვნებლივ გადაწყვეტას ელის, ამიტომაც იყო, რომ „მრგვალმა მაგიდამ" მიიღო ეროვნებათაშორის ურთიერთობების პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ცდის ხასიათი. ეს შეიძლება ითქვას ერთგვარ ნაკლად გასდევდა მთელ მუშაობას, რადგან ეროვნული განვითარების პრობლემების ღრმა მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის გარეშე შეუძლებელია შეიქმნას დღეისათვის გამოსადეგი მოქმედი ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომელზეც მრავალეროვნული სახელმწიფოებრივი სტრუქტურა დაეფუძნება.

დისკუსიამ გამოააშკარავა, თუ რამდენად შემაფერხებელი იყო ტრადიციულად მიღებული საბჭოთა კავშირის ერებისა და ეროვნებების „უკონფლიქტო განვითარების თეორია. დღეს ეროვნულ ურთიერთობებში წარმოჩენილმა ეგრეთ წოდებულმა „ცხელმა წერტილებმა" ცხადი გახადა ამ თეორიის უნიათობა. ნათელია აგრეთვე ისიც, რომ ექსტრემალური და კონფლიქტური სიტუაციები ერთაშორის ურთიერთობებში არ დაიძლევა, თუ ღრმად არ შევისწავლეთ ხალხთა ეთნოსოციალური ურთიერთმიმართების პრობლემები, ამ მხრივ ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სპეციფიკური თავისებურებანი და ყოველივე ამის საფუძველზე არ დავძლიეთ ეგოცენტრიზმის მავნე გამოვლინებანი. ამავე დროს ეროვნული თვითგამოფხიზლება არ უნდა ავურიოთ ნაციონალიზმში, ერის ისტორიული ზნეობრივი ღირებულებანი უნდა შევისწავლოთ წინასწარ აკვიატებული, მზამზარეული ფორმულირებისა და ტრაფარეტების გარეშე. მხოლოდ ასეთ ვითარებაში მოვძებნით მას, რაც ხალხებს აახლოებს.

ცდები იმისა, რომ კონფლიქტურ სიტუაციებში ერთიმეორეს წავუყენოთ მხოლოდ ბრალდებები და არ ვეძებოთ ურთიერთობათა ნორმალიზებისა და მოგვარების გზები, საერთო მიზანს უფრო გვაშორებს. ასეთი მაგალითები იყო მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის პრობლემების განხილვის დროს. სამწუხაროდ, ასეთივე პოზიცია დაიკავეს დისკუსიაზე გამოსულმა ჩვენმა აფხაზმა კოლეგებმა. მათი აზრით, აფხაზი მოსახლეობის მიმართ ხორციელდება უფლებრივი შეზღუდვები, რაც შეუთავსებელია დღევანდელი ეროვნული თავისუფლების საყოველთაობისა და ურთიერთთანასწორობის მოთხოვნებთან. არც ის გარემოება წყვეტს პრობლემას, რომ მათ იმავე ტრიბუნიდან მიიღეს დასაბუთებული პასუხები. თუ კონფრონტაციის გზები უფრო ვეძებეთ, პასუხის პასუხი ყოველთვის გამოინახება. დღეს გადამწყვეტად მიმაჩნია შევქმნათ მშვიდობიანი ურთიერთდამოკიდებულებების ატმოსფერო აფხაზი და ქართველი ხალხების ინტელექტუალური, ძმური ნდობისთვის, ავამოქმედოთ გონივრული „სახალხო დიპლომატია".

**გივი მარუაშვილი,**
**სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სექტორის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# სიკეთე საწყაულით

**„მრგვალი მაგიდის"** მუშაობაში ჩვენი რესპუბლიკიდან მიწვეულთა შორის გაუგებარი მიზეზების გამო, ნახევარზე მეტი— 7 კაცი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იყო. ამასთან როგორც აფხაზებთან საუბარში გაირკვა, მათ ორი თვით ადრე სცოდნიათ „მრგვალი მაგიდის" ჩატარების თაობაზე და სათანადოდაც მომზადებულან მოხსენებისათვის. ჩვენი დელეგაციის დანარჩენი წევრებისათვის კი ამ ღონისძიების ჩატარების დრო მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე გახდა ცნობილი. ამის შესახებ პროტესტი განვუცხადეთ სამუშაო პრეზიდიუმის წევრებს ე. ბაგრამოვს და გ. ტრაპეზნიკოვს. აფხაზეთის წარმომადგენელთა გამოსვლებში ბევრი სადავო იყო. ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, მით უმეტეს, რომ აფხაზ კოლეგებს ამის შესახებ იქვე მივუთითეთ. კერძოდ, მათ თავიანთ გამოსვლებში ხაზი გაუსვეს, რომ თითქოს აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე აფხაზები რიცხოვნობით ყოველთვის ბევრად აღემატებოდნენ ქართველებს და ამიტომ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა მხოლოდ აფხაზებიაო.

ყველაფერი მართლაც რომ ისე იყოს, როგორც ეს აფხაზეთის წარმომადგენლებს ჰგონიათ, აფხაზეთში ოდითგანვე ქართველების მცირე რაოდენობით ცხოვრება მაინც არ გამოდგება იმის საბუთად, რომ ვამტკიცოთ: ქართველები აფხაზეთის მიწა-წყალზე მკვიდრი მოსახლეობა არ არის. ასეთი მსჯელობით შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ ერევნის მაზრის მკვიდრი მოსახლეობა „თათრები" იყვნენ, რადგან 1886 წელს შედგენილი საოჯახო სიების მიხედვით ერევნის მაზრაში 53 ათასი „თათარი" ცხოვრობდა და მხოლოდ 36 ათასი სომეხი. ასეთი მაგალითები კი შეიძლება უამრავი მოვიტანოთ.

სათანადო ლიტერატურაში დამოწმებულია, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ოდითგანვე იყო დასახლებული კოლხურ-სვანური და, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, შესაძლოა მესხური წარმოშობის ტომებითაც.

ისტორიას არ შემოუნახავს ადრეულ საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ორი მკვიდრი ეთნოსის— ქართველებისა და აფხაზების რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ ცნობები (თუკი ასეთი აღწერითი ცნობები საერთოდ არსებობდა), მაგრამ მე-19 საუკუნიდან ჩატარებული მოსახლეობის აღწერების მონაცემები, „მრგვალი მაგიდის" მონაწილე აფხაზეთის წარმომადგენლების მოსაზრებებთან შედარებით სხვაგვარი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს. 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით (Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тифлис, 1893) აფხაზეთში ცხოვრობდა 28 ათასი აფხაზი და 34 ათასი ქართველი. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში გამსაკუთრებით ბევრი ქართველი ცხოვრობდა სამურზაყანოში, რომელიც ისტორიულად ქართული ტერიტორია იყო. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთის სამთავრო ვრცელდებოდა მხოლოდ ჯიქეთიდან მდინარე კოდორამდე. ეს ნათლად ჩანს ქართულ წყაროებში და აგრეთვე უცხოელ ავტორთა, კერძოდ არქანჯელო ლამბერტის, შარდენისა და სხვათა ნაშრომებში. მაგალითად, რომ აღარაფერი ვთქვათ ვახუშტი ბატონიშვილის წერილობით ძეგლზე, ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც 1672-1673 წლებში საქართველოში იმოგზაურა და თავისი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა აღწერა, პირდაპირ აცხადებს: მდინარე კოდორი სამეგრელოს გამოყოფს აფხაზეთისაგანო. მოგზაური, საეჭვო რომ არაფერი დარჩეს, იმასაც დასძენს: სამეგრელო თვითონა მაქვს თავიდან ბოლომდე გავლილიო (შარდენის მოგზაურობა. თბ., 1975, გვ. 107).

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის ქალაქებშიც უმრავლესობა ქართველები ცხოვრობდნენ. მაგალითად, იმავე საოჯახო სიების მონაცემებით 1886 წელს სოხუმში სამი აფხაზი ცხოვრობდა: ერთი ქალი და ორი მამაკაცი. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ახლა იმის შესახებაც უნდა ვთქვათ, რომ აფხაზები საქართველოს გარდა დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ აგრეთვე ყუბანის ოლქშიც. კერძოდ, 1883 წელს ყუბანის ოლქში აღწერეს მთიელები და სხვა მუსულმანი ხალხები. ამ აღწერის მიხედვით ყუბანის ოლქში საკმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ აფხაზი ტომები — სულ 9747 კაცი (Сборник сведений о Кавказе, т. IX, Тифлис, 1885 г., стр. 82-87, 94). ხოლო 1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით ყუბანის ოლქში უკვე 12481 აფხაზი ცხოვრობდა (Общий свод по империи результатов разработки данных первой всеобщей переписи населения. С.-Петербург, 1905, стр. 44).

თუ ზემოთ აღნიშნულ 1886 წლის მონაცემებს მხედველობაში მივიღებთ, სავსებით კანონზომიერად ჩანს და არავითარ ეჭვს არ იწვევს ქართველი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე 40 წლის მანძილზე. კერძოდ, 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთში ცხოვრობდა 67.494 ქართველი და 55.918 აფხაზი. მაგრამ აქ ერთი შენიშვნა მაინც უნდა გავაკეთოთ. ამ აღწერის მიხედვით, 8920 აფხაზი ანუ თითქმის ყოველი მეექვსე მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა, 1979 წელს კი — მხოლოდ 730. ვფიქრობთ, ეს იმის შედეგიც არის, რომ ჩვენთვის ცნობილი მიზეზების გამო (ეთნიკური მეტამორფოზის გზით ბატონყმობის მძიმე უღლის თავიდან აცილება, აგრეთვე ჯარში სამსახურიდან თავის არიდება, რადგან მეფის მთავრობას აფხაზები ჯარში არ გაჰყავდა და სხვ.) აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ნაწილი გააფხაზდა.

ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის წარმომადგენლები განსაკუთრებული მონდომებით აღნიშნავენ მექანიკური მოძრაობის შედეგად აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ზრდის შესახებ. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აფხაზეთის მოსახლეობა ამ მიზეზითაც იზრდებოდა, მაგრამ აქაც გვმართებს შემდეგი გარემოებები გავიხსენოთ. ჯერ ერთი, ქართველი მოსახლეობა აფხაზეთში იზრდება ბუნებრივი მატების შედეგადაც, მეორეც, 1926 წლიდან 1979 წლამდე აფხაზეთში ქართველების რაოდენობა გაიზარდა 67 ათასიდან 213 ათასამდე, ე. ი. 3,1-ჯერ, სომხებისა — 25 ათასიდან 73 ათასამდე, ე. ი. დაახლოებით 3-ჯერ, (1886 წელთან შედარებით კი — 71-ჯერ), რუსებისა — 12 ათასიდან 80 ათასამდე, ე. ი. 6,6-ჯერ. როგორც ვხედავთ, აქაც რაიმე უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ აქცენტი მაინც ყოველთვის ქართველების მიმართაა გაკეთებული. უფრო მეტიც, ამ ფაქტს, რომ აფხაზების ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში დაბალია, მხოლოდ ქართველი მოსახლეობის მექანიკური მატებით ხსნიან, რაც არასწორია.

რადგანაც „ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია" შემდეგიც უნდა აღვნიშნოთ. 1926 წლის შემდეგ აფხაზეთში ერთი ქართველიც რომ არ დაბადებულიყო და არც საცხოვრებლად გადასულიყო, მაშინ 1979 წელს აფხაზების ხვედრითი წილი აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში 17,1 პროცენტიდან 24,4 პროცენტამდე ამაღლდებოდა. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში არც ისე დიდი „ბრალი" მიუძღვის ქართველ მოსახლეობას. ეს იმიტომ, რომ მოსახლეობის მექანიკური თუ ბუნებრივი მატების მაჩვენებლები გაცილებით მაღალია აფხაზეთში მცხოვრებ დანარჩენ ეროვნებებში.

ამავე ასპექტით აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის ქალაქების მოსახლეობა, ძირითადად სხვა რესპუბლიკებიდან შემოსული მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა, მაგალითად, 1922 წელს ქალაქის მოსახლეობის აღწერა. ამ აღწერის მონაცემებით, სოხუმში მცხოვრები 4992 ბერძნიდან 3381 დაბადებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ, 4467 რუსიდან — 3400, ხოლო 1889 სომხიდან — 1123. ანალოგიური მონაცემებით ხასიათდება გუდაუთის მოსახლეობაც. ამ ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი საქართველოს ფარგლებს გარეთაა დაბადებული (ძირითადად რუსები, ბერძნები და სომხები). ამასთან 1922 წელს აფხაზები როგორც სოხუმში, ისე გუდაუთაში მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ. ისინი შესაბამისად მთელი მოსახლეობის 2,4 და 6,5 პროცენტს შეადგენდნენ. (სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წ. 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწილი I. დემოგრაფია. ნაკვეთი 2. ტფილისი, 1923, გვ. 14)

აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისას ზოგჯერ მეტად კურიოზულ ციფრებსაც ასახელებენ. მაგალითად, მოჰყავთ „კავკასიის კალენდრიდან" მხარის ადმინისტრაციის მონაცემები იმის შესახებ, რომ 1915 წლისათვის აფხაზთა რაოდენობა 111,7 ათას კაცს შეადგენდა. მაგრამ თუ სასურველობის სფეროს გავცილდებით, ჭეშმარიტებიდან მეტად შორს აღმოვჩნდებით. უპირველეს ყოვლისა 1886, 1897 და 1926 წლების მოსახლეობის აღწერების ურთიერთშედარება მთლიანად გამორიცხავს იმას, რომ თითქოს 1915 წლისათვის აფხაზთა რაოდენობა 111,7 ათას კაცს უდრიდა. მეორეც, „კავკასიის კალენდარში" უშუალოდ არსად არ არის აფხაზთა რაოდენობა მითითებული. აქ მხოლოდ „კავკასიელი მთიელები" და სხვა აზიელი ხალხების ნაწილის გაერთიანების შედეგადაა მიღებული სასურველი რიცხვი. ყველაფერი ეს მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ, მთავარი მაინც ისაა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში, სამეცნიერო პაექრობის დროს კალენდრის მონაცემების დამოწმება, როდესაც მოსახლეობის აღწერების მონაცემები არსებობენ, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უხერხულია. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ „კავკასიის კალენდარში" მოტანილია მხარის ადმინისტრაციის მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ გზით მიღებული მონაცემები სრულად ვერ ასახავენ მოვლენებისა და პროცესების რეალურ სურათს, მაგალითად, 1977 წლის 16 იანვარი რესპუბლიკის ისტორიაში საგანგებო დემოგრაფიულ თარიღად აღინიშნა. როგორც მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა გვაუწყებდა, ამ დღეს მისი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობამ მიაღწია და კიდეც გადააჭარბა ხუთ მილიონს. სინამდვილეში რესპუბლიკის მოსახლეობა ხუთი მილიონი, როგორც მოსახლეობის აღწერამ გვიჩვენა, ორი წლის შემდეგ — 1979 წელს გახდა.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მთავარი ის კი არ არის, ვინ რამდენი ათასით მეტი ცხოვრობდა, არამედ ის, რომ აფხაზეთში აფხაზები და ქართველები მკვიდრი მოსახლეობაა და ამ რეალობას ვალდებულია პატივი სცეს როგორც ყოველმა აფხაზმა, ისე ყოველმა ქართველმა. დღევანდელი მდგომარეობა კი აფხაზეთში მეტად რთული და სერიოზულია. ამ დაძაბულ ვითარებაში ყველა ჩვენგანს გვმართებს გამოვიჩინოთ გონიერება, მეტი წინდახედულობა, განვთავისუფლდეთ ყოველგვარი ემოციური სამოსელისაგან, რათა ქართველი და აფხაზი ხალხების საუკუნოვან ერთიანობასა და ნათესაობას არ მივაყენოთ მოუშუშებელი ჭრილობა. ყოველ ჩვენგანს ღრმად უნდა სწამდეს, რომ კეთილმეზობლობა და მეგობრობა ჩვენი ხალხების ტრადიციული სიმდიდრეა, რომლის ხელყოფას შთამომავლობა არ გვაპატიებს.

ქართველი ერის, ისე როგორც აფხაზი ერის ძლიერებას მუდამ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეალებისადმი, უპირველეს ყოვლისა კი ერთმანეთისადმი ერთგულება განაპირობებდა. თუ ჩვენ გვინდა ვიყოთ ნამდვილი პატრიოტები, თუ გვინდა ვუპატრონოთ ჩვენს ხალხს და ქვეყანას, კვლავაც ერთგულნი უნდა დავრჩეთ ამ იდეალებისადმი. ყოველთვის უნდა ახსოვდეს თითოეულ ჩვენთაგანს, რომ შუღლი და ქიშპობა ბედნიერებას ვერასოდეს ვერ მოუტანს ჩვენს ერებს.

საჭიროა ამ მეტად რთულ ვითარებაში უფრო მეტად გავუფრთხილდეთ ჩვენს საერთო საგანძურს, რასაც მეგობრობა, ძმობა და ურთიერთპატივისცემა ჰქვია. უნდა დავიცვათ იგი ყოველგვარი მოუფიქრებელი და შემთხვევითი ნაბიჯისაგან, უკეთ უნდა გავიაზროთ ჩვენი ყოველი მოქმედება. გულდასმით ავწონ-დავწონოთ ყოველი სიტყვა, რათა არ შევლახოთ ერთმანეთის ეროვნული თავმოყვარეობა და ღირსება.

ყოველი ჩვენთაგანი, ქართველიც და აფხაზიც ვალდებულია თავისი ერის სიყვარულში ურთიერთისადმი პატივისცემა და სიყვარულიც ჩააქსოვოს. სწორედ ამგვარად იქცეოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები და ჩვენც უფლება არა გვაქვს ვუღალატოთ მეგობრობის მათ მიერ გაკვალულ გზას, გადავუხვიოთ ამ გზიდან. მათი ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთპატივისცემა, ზრუნვა საერთო ეროვნულ პრობლემებზე თვალნათლივ ცხადყოფს ქართველი და აფხაზი ხალხების ერთსულოვნებას მაშინდელ ვითარებაში. ჩვენ ვალდებული ვართ ახლაც ყურად ვიღოთ აკაკი წერეთლის (მას ძლიერი სიყვარული და გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდა მოძმე აფხაზ ხალხთან) შეგონება: „ერი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ". შოვინისტობა, „სამშობლოს უკუღმართი სიყვარული" მას დიდ საძაგლობად მიაჩნდა. აკაკი წერეთელი პრაქტიკულადაც ცხოვრებაში ამ მაღალი გრძნობის ერთგული და გამტარებელი იყო. იგი ხშირად იმყოფებოდა სტუმრად აფხაზეთში, სწავლობდა აფხაზი ხალხის ისტორიას, კულტურას, ზნე-ჩვეულებას, მდიდარ ხალხურ შემოქმედებას. პოეტმა ერთ-ერთი საუკეთესო პოეტური ქმნილება „გამზრდელი" აფხაზი ხალხის კეთილშობილურ მორალურ-ეთიკურ თვისებებზე შექმნა. ეს პოეტური შედევრი თავის მშობლიურ ენაზე თარგმნა აფხაზი ხალხის ლიტერატურის ფუძემდებელმა დიმიტრი გულიამ.

ასევე დიდი სიყვარულით იყო გამსჭვალული აფხაზი ხალხის მიმართ იაკობ გოგებაშვილი. ცნობილია, თუ როგორ ზრუნავდა იგი აფხაზური „დედა ენის" შედგენისა და დაბეჭდვისათვის. იგი მოუწოდებდა სოხუმელ ქართველებს ყოველნაირად დახმარებოდნენ აფხაზებს ამ კულტურულ წამოწყებაში, ხელს უწყობდა აფხაზური ენისა და ლიტერატურის განვითარებას. სწორედ ამ სითბოსა და ყურადღების გამოხატულებაა ი. გოგებაშვილის შემდეგი სიტყვები: „გაზეთების ზოგი კორესპონდენტი მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე სღვთისმსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. ეს მე მეტისმეტად მაოცებს. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ; მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე. როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე".

ყოველი ჩვენგანისათვის, როგორც ქართველისათვის ისე აფხაზებისათვის, ერთნაირად ნაცნობია კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟები — თარაშ ემხვარი, კაც და არზაყან ზვამბაიები. რა თქმა უნდა, ასეთი ვაჟკაცური და კეთილშობილური სახეები აფხაზი ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-წესების ცოდნის გარეშე ვერ შეიქმნებოდა. ამ დიდ სიყვარულსა და მეგობრობას ასევე პასუხობდა აფხაზი ხალხი და მისი საუკეთესო წარმომადგენლები — გ. შერვაშიძე, დ. გულია და სხვები.

ყოველივე ეს გვავალდებულებს გავუფრთხილდეთ წინაპართა ნალვაწს და ღირსეულად გავაგრძელოთ საერთო ლხინსა და ჭირში გამოვლილი ერთად ცხოვრების საუკეთესო ტრადიციები. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ქართველი ხალხისა და აფხაზი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და ძმობა, ჩვენი წინაპრების მიერ განმტკიცებული კეთილმეზობლური თანაცხოვრების უშესანიშნავესი მაგალითი, არ შეიბღალოს გაუგებრობებით, სხვადასხვა წინააღმდეგობებით, რომელთა გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია ურთიერთნდობისა და კეთილი ნების პირობებში. ორ მოძმე ხალხს გვმართებს შეკავშირება და იმ ეროვნულ პრობლემებზე ზრუნვა, რაც თითოეულ ჩვენთაგანს სტკივა და რაც საერთო გვაქვს. სწორედ ჩვენთანვე უნდა განვიხილოთ და გადავწყვიტოთ სადაო პრობლემებიც ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროში. ამის მაგივრად სხვადასხვა ინსტანციებში, საკავშირო უწყებებში იგზავნება ქართველთა შეურაცხმყოფელი წერილები და მიმართვები. ეს მით უფრო გულსატკენია, რომ ამ მიმართვებსა და წერილებს ზოგჯერ ხელს აწერენ არა მარტო აფხაზი ხალხის, არამედ მთელი ქართველი ხალხისთვისაც საპატივცემულო ადამიანები. ქართველ ხალხს არავისთან და მით უმეტეს ჩვენი ბუნებისა და ხასიათით ახლოს მდგომ აფხაზ ხალხთან არასოდეს დაუმსახურებია ისეთი რამ, რაც „აფხაზურ წერილსა" და „ლიხნის მიმართვაშია" შეთხზული. შეიძლება ეს ჩვენი ხვედრიც იყოს, აკი იაკობ გოგებაშვილიც ამის შესახებ გულისტკივილით აღნიშნავდა: „ქართველობა არასდროს არ ყოფილა გამსჭვალული ნაციონალური ვიწრო ეგოიზმით, შოვინიზმით. ჩვენს სამეფოში, წარსულს საუკუნეებში, ყველა არა ქართველნი გათანასწორებული იყვნენ ქართველებთან ყოველი უფლებით, არავითარ შევიწროებას არ განიცდიდნენ არც სარწმუნოების და არც ენის შესახებ და ყოველს თანამდებობაზე ისევე მწესდებოდნენ, როგორც თვით ქართველები.

ეხლაც ქართველობას... სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურთ. ითხოვს მხოლოდ, რომ მას მიუწყონ იმავე საწყაულით, რომლითაც იგი უწყავდა სხვებს".

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ აფხაზეთიდან სხვადასხვა ინსტანციებში გაგზავნილი წერილები და მიმართვები არ გამოხატავს აფხაზი ხალხის საერთო განწყობას. ქართველი ხალხის მიმართ წინასწარგანზრახულად უამრავი ბრალდებით დამძიმებული ეს დოკუმენტები ხელს აძლევს მხოლოდ მათ, ვინც ესწრაფვის რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების დესტაბილიზაციას, ჩვენს ხალხებს შორის შუღლისა და ქიშპობის ჩამოგდებას, ამოძრავებს დაფარული მიზნები. რა თქმა უნდა, წარსულში დაშვებული შეცდომები, მათ შორის ეროვნული ურთიერთობების სფეროში, უნდა გამოსწორდეს ბოლომდე, მაგრამ ის რაც მიღწეულია, არც მისი უარყოფა შეიძლება.

„მრგვალ მაგიდასთან" ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ფართო სპექტრი იქნა განხილული. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ამ ურთიერთობების მტკივნეულ საკითხებზე, ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებზე ცხარე მსჯელობა გაიმართა. ითქვა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ხალხების ცალკეულ მწვავე ეროვნულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე.

**ანზორ თოთაძე,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# უცხოეთი

საქდესი ცნობებით
17 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

• **საფრანგეთი**

## „შვიდეულის" დეკლარაცია

**პარიზი. კვირას პარიზის არკ დეფანსის გარეუბანში ეკონომიკურ საკითხებზე დეკლარაციის მიღებით დამთავრდა შვიდი ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა ყოველწლიური მე-15 შეხვედრა. იგი ფორუმის საბოლოო დოკუმენტად ითვლება, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, იტალიის, კანადის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიის ხელმძღვანელები, აგრეთვე ევროპის გაერთიანებათა კომისიის დელეგაცია.**

„შვიდეულმა" აღნიშნა საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში განვითარებული ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობის განგრძობის დიდი მნიშვნელობა, ყურადღება დაუთმო ინფლაციის ტემპის ზრდის განახლებული ტენდენციის შეკავებას, საბიუჯეტო და სავაჭრო დისბალანსის შემცირებას. მან დაადასტურა წინანდელი შეთანხმებანი ძირითადი ვალუტების გაცვლითი კურსისადმი კონტროლის თაობაზე, გაილაშქრა საერთაშორისო ვაჭრობაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ.

შეხვედრის მონაწილეებს არავითარი რადიკალური ღონისძიებები არ დაუსახავთ განვითარებადი ქვეყნების უზარმაზარი საგარეო დავალიანების აღმოსაფხვრელად, მათ ამ ქვეყნებს მხოლოდ მოუწოდეს განახორციელონ „ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკა", რომელმაც, მათი რწმენით, კეთილსასურველი პირობები უნდა შეუქმნას კაპიტალდაბანდებებსა და ეკონომიკურ ზრდას.

პირველად „შვიდეულის" შეხვედრაზე განიხილეს ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც, როგორც მისმა მონაწილეებმა აღნიშნეს, საყოველთაო შეშფოთებას იწვევს.

„შვიდეულის" მორიგი შეხვედრა გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნათქვამია დოკუმენტში.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პარიზის საელჩოში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ამერიკის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ საერთოევროპული სახლის იდეას.

უპასუხა რა კითხვას ინდუსტრიული ქვეყნების ხელმძღვანელთა მომდევნო შეხვედრაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ, თეთრი სახლის მეთაურმა განაცხადა, ეს „ძალიან ნაადრევიაო". მისი შეფასებით, საბჭოთა კავშირში უნდა მოხდეს ბევრი ცვლილებები, სანამ ეს შესაძლებელი იქნება. პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ საბჭოთა ეკონომიკაში მოხდეს ევოლუცია „დასავლეთის ტიპის მეურნეობის საბაზრო სისტემისაკენ".

ჯორჯ ბუშმა მხარი დაუჭირა ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში, კერძოდ, უნგრეთსა და პოლონეთში, მიმდინარე გარდაქმნებს.

შეაჯამა რა ზოგადად „შვიდეულის" შეხვედრის შედეგები, ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დისკუსია ჰარმონიული იყო, ხოლო მოლაპარაკების მონაწილეებმა „მიაღწიეს მათ წინაშე დასახულ მიზნებს".

## ალტერნატიული შეხვედრა

**პარიზი. პარიზის „მიუტუალიტეს" დარბაზში საბოლოო დეკლარაციის მიღებით დამთავრდა „შვიდი ულარიბესი ხალხის წარმომადგენელთა ალტერნატიული შეხვედრა". მასში მონაწილეობდნენ ბანგლადეში, ბრაზილია, ბურკინა-ფასო, ჰაიტი, ზაირი, მოზამბიკი, ფილიპინები.**

ერთხმად მოწონებულ დეკლარაციაში შვიდი ულარიბესი ხალხის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ განვითარებადი ქვეყნების მზარდი გალატაკება, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ცხოვრების დონის მზარდი განსხვავება საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრიობას. ჩვენ უარს ვეუბნებით უმდიდრესი ქვეყნების „შვიდეულს" უფლებაზე ლაპარაკობდნენ ყველა ხალხის სახელით და გადაწყვეტილებებს იღებდნენ მთელი კაცობრიობისათვის, ნათქვამია დოკუმენტში.

### საზოგადოებრივი აზრი

## მხარს უჭერენ სიკვდილით დასჯის აღდგენას

**რომი. იტალიაში დამნაშავეობის ზრდამ და ხელისუფალთა უუნარობამ მოაგვარონ ეს პრობლემა, როგორც ჩანს, შეიძლება აიძულონ იტალიელები გადასინჯონ ბოროტმოქმედთა დასჯის ღონისძიებანი.**

როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, რომელიც ჟურნალ „პანორამის" შეკვეთით მოეწყო, იტალიელთა თითქმის ნახევარი მხარს უჭერს სიკვდილით დასჯის აღდგენას, რომელიც ქვეყანაში გააუქმეს 45 წლის წინათ მუსოლინის ფაშისტური დიქტატურის დაცემის შემდეგ.

დანაშაულობებად, რომლებისთვისაც ბოროტმოქმედნი სიკვდილით უნდა დაისაჯონ, გამოკითხულთა უმრავლესობამ დაასახელა განზრახ მკვლელობა და მცირეწლოვანების მიმართ ძალმომრეობა. სასჯელის უმაღლესი ზომის შემოღებას განსაკუთრებით მტკიცედ დაუჭირეს მხარი გამოკითხვის ხანდაზმულმა მონაწილეებმა. მათი აზრით, სიკვდილით დასჯა შემოღებულ უნდა იქნეს აგრეთვე გამოსასყიდის მიზნით გატაცებისათვის, გაუპატიურებისა და ნარკოტიკების კონტრაბანდისათვის.

### ფოტოფაქტი

**• როგორც** ამას წინათ მკითხველს ვაუწყეთ, ამერიკის არიზონის შტატის ქალაქ ფენიქსში, ნევროლოგიური ინსტიტუტის სენტ-ჯოზეფის საავადმყოფოს ექიმებმა გააკეთეს უნიკალური ოპერაცია ავტოკატასტროფაში მოხვედრილ ათი წლის ტიმოთი მატიასის სიცოცხლის გადასარჩენად. საავადმყოფოში მიყვანისას პატარა ტიმოთის თავი მხოლოდ კისრის მყესებით იყო დაკავშირებული სხეულთან. ხუთსაათიანმა ურთულესმა ოპერაციამ და მრავალდღიანმა ეფექტიანმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო, დაიწყო გამოჯანმრთელების სწრაფი პროცესი. ამ რამდენიმე დღის წინათ კი ბიჭუნა საავადმყოფოდან გამოწერეს. ექიმების აზრით, რომლებიც ტიმოთის მომავლისადმი ოპტიმისტურად არიან განწყობილი, გადატანილი ტრავმის შემდეგ იგი არაფრით არ ჩამორჩება თავის თანატოლებს.

**სურათზე:** ტიმოთი მატიასი საავადმყოფოდან გამოწერამდე რამდენიმე დღით ადრე.

**აპ-საქდესის ფოტო.**

# ასე განვითარდა მოვლენები

**(დასასრული)**

ის სახალხო განათლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრი, პროფესორი ფ. პერეგუდოვი. კომისიის წევრები ჩამოსვლისთანავე შეხვდნენ ფილარმონიის თეატრში მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეებს. კომისიის წევრები შეკრებილთ წარუდგინა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ხიშბამ.

5 ივლისს სამივე საოლქო გაზეთის რედაქციამ გამოსაქვეყნებლად მიიღო განცხადება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1989-1990 სასწავლო წლისათვის ახალი კონტინგენტის მიღების შესახებ, მაგრამ 6 ივლისის ნომერში ეს განცხადება „საბჭოთა აფხაზეთში" არ გამოქვეყნდა. ამასთან დაკავშირებით პარტიის საოლქო კომიტეტში გაიმართა საოლქო გაზეთების რედაქტორთა თათბირი. ითქვა: განცხადების ერთდროულად გამოქვეყნებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების პირობებში. გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქტორს თ. ჩოჩიას მიეთითა, რომ მომავალში არ დაეშვა მსგავსი მოქმედება და დავალა განცხადების გაზეთის შემდეგ ნომერში გამოქვეყნება.

ამ თათბირის შესახებ გაზეთების „სოვეტსკაია აბხაზია" და „აფსნი ყაფშის" 8 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია „გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" უხეში პოლიტიკური შეცდომის შესახებ". მასში ნათქვამია: გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" 7 ივლისის ნომერში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადებასთან ერთად თვითნებურად დაბეჭდეს განცხადება ე. წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში მიღების შესახებ, რის თაობაზე განკარგულებაც, დადგენილი წესის დარღვევით, გასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ. ამით გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქტორმა თამაზ ჩოჩიამ უგულებელყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული ნიშნების მიხედვით გათიშვის დაუშვებლობის შესახებ, ასევე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შესაბამისი მითითება, დაუშვა უხეში პოლიტიკური შეცდომა — საკითხის საბოლოო გარკვევამდე გამოაქვეყნა განცხადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შესახებ, რის თაობაზეც ამჟამად აფხაზეთში მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სადეპუტატო კომისია. ამ განცხადებამ გზა-კვალი აუბნია ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას და კიდევ უფრო გაამწვავა აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია.

ნათქვამია ისიც, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში შეიქმნა კომისია იმ მიზეზების გამოსარკვევად, რომლებმაც ხელი შეუწყვეს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" ფურცლებზე ამ შეცდომის დაშვებას.

ეს ინფორმაცია გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში" დაიბეჭდა არა იმ დღეს, 8 ივლისს, როცა „სოვეტსკაია აბხაზიამ" და „აფსნი ყაფშიმ" დაბეჭდეს, არამედ 11 ივლისს, ამასთან, ამავე ნომერში, ამის თაობაზე რუბრიკით „საბჭოთა აფხაზეთის" პოზიცია" დაიბეჭდა ვრცელი სტატია „დრო განსჯის" გაზეთის კოლექტივის ყველა წევრის ხელმოწერით.

შემდგომ მოხდა საგანგებო შემთხვევა: 12-13-14 ივლისს „საბჭოთა აფხაზეთის" ნომრები არ გამოსულა, ჩვენთან საუბრისას პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა მიხეილ წულაძემ გაზეთის გამოუცემლობის მიზეზად ის დაასახელა, რომ რედაქციამ გადაწყვიტა „სოვეტსკაია აბხაზიას" და „აფსნი ყაფშისგან" განსხვავებით — კომენტარებით დაებეჭდა მოსკოვიდან ტელეფონით მიღებული ცნობა სსრ კავშირის დეპუტატთა კომისიის მიერ აფხაზეთში გაწეული მუშაობის შედეგებზე. მ. წულაძემ გვთხოვა, რომ „კომუნისტს" თავი შეეკავებინა ამ ცნობის გამოქვეყნებისაგან. იგივე გაგვიმეორა სოხუმში მყოფმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ვაჟა ლორთქიფანიძემ.

მაინც რა ცნობა იყო ეს? კომისიის წევრები იტყობინებოდნენ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალად აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული სექტორის გამოყოფა, რაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით მოხდა, შეიძლება ჩაითვალოს დროებით ღონისძიებად გასული სასწავლო წლის ნორმალურად დამთავრებისთვის. დღეისათვის მან თავისი დანიშნულება ამოწურა და პრაქტიკულად არღვევს სასწავლო პროცესს, ხელს არ უწყობს ეროვნული ურთიერთობის განმტკიცებას, მით უმეტეს, რომ ასეთი გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილება შედის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციაში. ნათქვამია ისიც, რომ თავისი პოზიცია აღნიშნულმა კომისიამ აცნობა საქართველოს სსრ ხელმძღვანელობას.

როგორც ვთქვით, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქციამ გადაწყვიტა ეს ინფორმაცია კომენტარით გამოექვეყნებინა. ამას ხელი შეუშალა აფხაზი მოსახლეობის ჯგუფმა, რომელიც ღამით გარს შემოერტყა სტამბას. ასე გაგრძელდა 12 და 13 ივლისს. 14 ივლისს გადაწყდა, გაზეთი ზემოაღნიშნული ინფორმაციის გარეშე გამოსულიყო. 15 ივლისს ერთდროულად გამოვიდა 12 და 15 ივლისის ნომრები. გაზეთის რედაქციამ ბოდიში მოუხადა მკითხველებს იმის გამო, რომ მათ დაგვიანებით მიიღეს გაზეთის 12 ივლისის ნომერი და არ მიუღიათ 13 და 14 ივლისის ნომრები.

ჯერ კიდევ 8 ივლისს აფხაზეთის მწერალთა კავშირის შენობასთან აფხაზი მოსახლეობის ხალხმრავალ შეკრებაზე ითქვა, თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს არ მივცემთ მისაღები გამოცდების ჩატარების საშუალებასო. ექსტრემისტულად განწყობილმა რამდენიმე პირმა პირდაპირ განაცხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში „მეორე ფერღანას" მოვაწყობთო. ამ შეკრებას ესწრებოდა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი საიდ ტარკილი.

შექმნილი ვითარებისა და „საბჭოთა აფხაზეთის" ნომრების გამოუსვლელობის თაობაზე, 15 ივლისს, დილით მივმართეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატს და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ხიშბას, რომელმაც გვთხოვა, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენათა შესახებ გაზეთ „კომუნისტში" მასალის გამოქვეყნებისაგან ჯერჯერობით თავი შეგვეკავებინა. (?!).

იმავე დღეს კი, 15 ივლისს, ადრე დილიდან, გარშემორტყმული იქნა სოხუმის რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის შენობა ენგელსის ქუჩაზე, სადაც დროებით მოთავსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. აფხაზი ეროვნების მოქალაქეები ქართველებს ფილიალის შენობაში შესვლის უფლებას არ აძლევდნენ. დაახლოებით 17 საათზე აფხაზების ჯგუფი შეიჭრა ფილიალის შენობაში. დაარბიეს კაბინეტ-ლაბორატორიები, ჩამოგლიჯეს სურათები, სასტიკად სცემეს იქ მყოფი მიმღები კომისიის წევრები; ისინი ამჟამად საავადმყოფოში იმყოფებიან.

ამის შემდეგ შეიარაღებული აფხაზები თავს დაესხნენ პუშკინისა და ლაკობას ქუჩების გადაკვეთასთან — რუსთაველის პარკში შეგროვილ ქართველ უიარაღო მოსახლეობას. ხელჩართულ შეტაკებაში დაიღუპა 7 კაცი; საერთოდ დღეისათვის დაღუპულია 14 ადამიანი. საავადმყოფოებში მოთავსებულია 137 კაცი, მათგან მძიმე მდგომარეობაშია 15. იმ საღამოსვე აფხაზთა შეიარაღებული ჯგუფი შეიჭრა აფხაზეთის მთავრობის სახლში და 17 ივლისამდე დაკავებული ჰქონდა მთელი შენობა, გარეთ კი იდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს პატრული. დაახლოებით შუაღამისას შინაგან საქმეთა ჯარების ქვეგანაყოფმა მთავრობის სახლი გაანთავისუფლა შიგ შეჭრილთაგან.

პიკეტები შექმნა ქართველმა მოსახლეობამაც. ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილებთან ერთად აკონტროლებენ ქალაქში შემოსულ ტრანსპორტს. მთლიანად სოხუმსა და აფხაზეთის სხვა რეგიონში წესრიგს უზრუნველყოფენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ქვეგანაყოფები.

სოხუმში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. არ მუშაობს სოხუმის სამრეწველო, რკინიგზის, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და სხვა ორგანიზაციები.

**იოსებ გოგეჩია,**
**„კომუნისტის" საკ. კორ.**

# აბიტურიენტის ცხელი ზაფხული

** სკოლასთან** ხანი უკან დარჩა — დამთავრდა ბავშვობა. წინ კი უამრავი გზაა. თუ რომელ მათგანზე უნდა იარონ, სწორედ ახლაირჩევენ ახალგაზრდები.

ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები დაიწყო. ჭაბუკები და ქალიშვილები თავიანთ ცხოვრებაში ერთ-ერთი პირველი სერიოზული გამოცდის წინაშე დადგნენ.

სამარისებური სიჩუმე აუდიტორიაში.

დაძაბული, მოაზროვნე სახეები.

შინაგანი სულიერი ენერგიის მაქსიმალური მობილიზება.

წლების მანძილზე ნასწავლ-შეთვისებულის ერთგვარი კონცენტრირება, შეჯამება — რა ნაცნობია ყოველივე ეს, მძიმე, დამღლელ-დამქანცველი, ქანცგამწყვეტი... და რა სასიხარულო, თუ წარმატება აგემგზავრა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც „კომუნისტის" ფოტოკორესპონდენტმა **თედო ნიკოლაიშვილმა** ეს სურათი გადაიღო, ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, ძალზე დიდი კონკურსია. მოვიდნენ ეს ახალგაზრდები გამოცდებზე, და თან მოიყოლეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის დიდი სიყვარული, რუსთაველის, ილიას, ვაჟას, ცურტაველის, გალაკტიონის უკვდავი შემოქმედების ცოდნა. კონკურსი მაღალია, მით მკაცრია გამოცდებიც, დიდია მომთხოვნელობა, მაგრამ ერთი ნაღდია — ჭეშმარიტი ნიჭიერება, ნამდვილი, ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა აროდეს დაკარგულა, უკეთესთა შორის უკეთესები შეირჩევა წელსაც.

გავა ცოტა ხანიც, მინელდება საგამოცდო ციებ-ცხელება. სექტემბრის ზარი აუდიტორიებისაკენ მოუხმობს სტუდენტებსაც, დაიწყება კიდევ ერთი სასწავლო წელი. ბედნიერ სვლას გისურვებთ მომავლის გზაზე, საქართველოს ახალგაზრდობავ!

გასტროლები

# ქართული ბალეტის ტრიუმფი

**● საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე დიდი წარმატება ხვდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასს, რომელმაც მაყურებელს უჩვენა ფესტივალისათვის სპეციალურად მომზადებული სრულიად ახალი პროგრამა — სამგანყოფილებიანი საბალეტო ნაწარმოების სერიალი (სამხატვრო ხელმძღვანელები: ლიბრეტოს ავტორი და დამდგმელი — გურამ მელივა, დამდგმელი ქორეოგრაფი — გოგი ალექსიძე, მხატვარი — უშანგ იმერლიშვილი).**

**ამ** ორიოდე დღის წინათ საბალეტო დასი თბილისში დაბრუნდა. ჩვენ შევხვდით რეჟისორ გურამ მელივას და ვთხოვეთ მოეთხრო: როგორ მოხვდნენ ისინი მონპელიეს ფესტივალზე და როგორია მათი ახალი პროგრამა, რომელიც ჯერ ჩვენს მაყურებელს არ უნახავს.

— უნდა მოგახსენოთ, რომ უკვე კარგა ხანია ჩვენი საბალეტო დასი დიდი გატაცებითა და მონდომებით მუშაობდა ახალ პროგრამაზე, რომელიც წარმოადგენს სამი განყოფილებისაგან შემდგარ მხატვრულად დასრულებულ საბალეტო სპექტაკლებს. პირველ განყოფილებაში სრულდება ალფრედ შნიტკეს „კონექსიონი", მეორე განყოფილებაში — რევაზ გაბიჩვაძის „მედეას მონოლოგი", იან სიბელიუსის „ტუონელი გედი", კლოდ აშილ დებიუსის „ბალეტი", იოჰან შტრაუსის „ღამურა", მესამე განყოფილება ეთმობა გია ყანჩელის „დემონს" (მეექვსე სიმფონიის მიხედვით). ამ ახალი პროგრამის პრემიერა მონპელიეში მოხდა.

როგორ მოვხვდით მონპელიეში? თებერვლის ბოლოს, როცა ახალი პროგრამა უკვე მომზადებული გვქონდა, მოსკოვის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირიდან გვეწვია ფრანგი იმპრესარიო, რომელმაც ნახა ჩვენი სპექტაკლები და გადაწყვიტა მივეწვიეთ მონპელიეში. საფრანგეთის ეს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი უკვე კარგა ხანია ითვლება საერთაშორისო საბალეტო ცენტრად. აქ ორ წელიწადში ერთხელ მთელი ორი თვის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს საბალეტო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი საბალეტო კოლექტივები. ფესტივალზე ხდება ახალი დასების, შემსრულებლების, რეპერტუარის დათვალიერება და მათგან საუკეთესოების შერჩევა. ახალი ვარსკვლავების „აღმოჩენა", მოწონებული კოლექტივებისა თუ შემსრულებელთა „პასპორტიზაცია", რაც იმას ნიშნავს, რომ გამორჩეულთ გზა ეხსნებათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ასე მოხვდა ჩვენი ოცდაშვიდკაციანი დასი ფესტივალზე, სადაც დიდი აღიარება პოვა.

**— რას გვეტყვით მონაწილე მსახიობებზე?**

— საბალეტო სპექტაკლებში დიდი მოწონება ხვდათ სოლისტებს — ალა აბესაძეს, ირა აბულაშვილს, ირინე სანაძეს, ლია ბახტაძეს, თამაზ ვაშაკიძეს, ვალერი მაზეპჩიკს, ვლადიმერ ჯულუხაძეს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ცხრამეტი წლის ირმა ნიორაძის წარმატება, რომელიც ახალ ვარსკვლავად აღიარეს.

**— რა მოგცათ მონპელიეს ფესტივალმა, რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის ამ საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა?**

— უპირველეს ყოვლისა, პროპაგანდა გავუწიეთ ქართულ საბალეტო ხელოვნებას და მოვიპოვეთ უფლება გამოვიდეთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დიდ საბალეტო სცენებზე. კერძოდ, ფრანგულმა ფირმამ „ლარბპროდუქსიონმა" ჩვენს დასთან ხუთი წლით დადო ხელშეკრულება. უახლოესი ტურნე გაიმართება ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში. მიწვეული ვართ იტალიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ინგლისში, კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახლა იგეგმება 1990 წლის აპრილისა და მაისის საგასტროლო ტურნე ევროპის ქვეყნებში. კვლავ მიწვეული ვართ მონპელიეს მომავალ ფესტივალზეც ნებისმიერი ახალი პროგრამით.

ქართული საბალეტო ხელოვნების აღიარების გარდა მატერიალური სტიმულიც მივიღეთ. ისეთი მცირერიცხოვანი დასისათვის, როგორიც ჩვენა ვართ, ცოტა არ არის თითოეულ სპექტაკლში 4-5 ათასი დოლარის მიღება, და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ 100 სპექტაკლი უნდა ვიცეკვოთ, კარგი თანხა გამოვა, რომელსაც ფირმასთან პირდაპირი კავშირით რესპუბლიკაში შემოვიტანთ.

**— როგორ მიიღეს ფესტივალის მონაწილეებმა, მაყურებლებმა, პრესამ თქვენი გამოსვლები?**

— ფრანგული პრესა, სპეციალისტები ფართოდ გამოეხმაურნენ ქართული ბალეტის სპექტაკლებს. პრესაში ქვეყნდებოდა რეცენზიები ასეთი სათაურებით: „თბილისის ბალეტის ტრიუმფი", „ვინც ვერ მოასწრებს ქართული წარმოდგენების ნახვას, ბევრს დაკარგავს". განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიიღო გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიამ. თანამედროვე ბალეტისა და, განსაკუთრებით საბჭოთა ბალეტის ტრადიციების ფონზე, მათ ჩვენი ნაწარმოებების მხატვრული სახე მეტად უჩვეულოდ მიიჩნიეს.

იმართებოდა პრესკონფერენციები, ჟურნალისტები მრავალ შეკითხვას გვაძლევდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის ტრადიციების, პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. იყო შეკითხვები 9 აპრილის ტრაგედიაზე. ზოგს გაგებული ჰქონდა იმ ავბედითი ღამის ამბავი, ბევრმა კი ჩვენი მონათხრობით შეიტყო სრული სიმართლე.

**— და ბოლოს ტრადიციული შეკითხვა: როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები?**

— როგორც მოგახსენეთ, აპრილ-მაისის საზღვარგარეთის გასტროლებისათვის ვამზადებთ ახალ პროგრამას, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ნათელ ხსოვნას მიეძღვნება. ამოცანა მეტად რთული და პასუხსაგებია. სპექტაკლის პრემიერა თბილისში გაიმართება.

უკვე მზად გვაქვს და ახალ სეზონში მაყურებელი ნახავს სულხან ნასიძის „ფიროსმანის" მიხედვით შექმნილ საბალეტო სპექტაკლს. სეზონის პირველ სპექტაკლად კი წარმოვადგენთ ახალ პროგრამას, რომელიც მონპელიეში ვაჩვენეთ. ბედნიერად ჩავთვლით თავს, თუ თბილისელებსაც ისევე მოეწონებათ ჩვენი ახალი ნამუშევარი, როგორც იქ, საფრანგეთში, საბალეტო ხელოვნების ცენტრში.

**ლარისა ხუბულური.**

ბუნების სურათები

# პლანეტის ულპობი ძეგლები

**მთები** დედამიწის ულპობი ძეგლებია, მსგავსად ურთხლისა — ულპობი ხისა, რომლის ზრო ბალავრად დაატანეს სვეტიცხოველს. მაღალი მთები ადამიანში ყოველთვის აღძრავს რაღაც ზებუნებრივ გრძნობას. ძველი ადამიანი თვლიდა, რომ მწვერვალები იკავებენ ცის თაღს ჩამონგრევისაგან, ანტიკური ბერძნების წარმოდგენით სამყაროს კიდე გიბრალტარის ორივე მხარეს აღმართულ ჰერკულესის სვეტებს ეკავა. ძველი ჩინელები მთებს: ჰენგ შანს — ჩრდილოეთით, ჰოუა შანს — დასავლეთით, სანგ შანს — სამხრეთით და ტიან შანს — აღმოსავლეთით აიგივებენ ცის სვეტსაყრდენებთან. ამავე ხალხის ლეგენდის თანახმად, წითელლოყება დრაკონმა კუნგ-კუნგმა მოარყია და ძირს დასცა ჰენგ შანი, რითაც გლობალური მიწისძვრა და უდიდესი წარღვნა გამოიწვია.

მთები... არაორგანული ბუნების სხვა არც ერთი წარმომადგენელი არ აიძულებს ადამიანს, ჩააფიქროს, აგრძნობინოს ზეცის სიახლოვე ისე მძაფრად, როგორც მთებს და მთაზე აღმართულ მწვერვალებს. აკი წერს ვაჟა-ფშაველა:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე
ვიდექ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზეც მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა".

დედამიწის მაღალი ადგილები წმინდა ადგილებიცაა. მოსემ ათი მცნება სინის მთაზე მიიღო; ბუდა ჰიმალაის ჩრდილში დაიბადა. ინდოელი ხალხის შემქმნელმა ვიშნუმ მარადიულ სიცარიელეს თავი დააღწია ოქროს ლოტოსის გვირგვინის ფურცლების დახმარებით — ყვავილს ეს ფურცლები ჰიმალაის მწვერვალებზე აქვს გაფენილი. წმინდა მდინარე — განგი — სათავეს ლოტოსის გულიდან იღებს. წინასწარმეტყველმა ეზეკიამ სამოთხე მაღალ მთებზე მოათავსა. ყველა არსების მაცოცხლებელი წყლები მწვერვალთა ძირში იღებენ სათავეს.

ძველმა ბერძნებმაც თავიანთი პანთეონი ოლიმპოს მთაზე ააგეს. ამ მთას ჰომეროსმა ასე უმღერა: „მას ქარი ვერაფერს აკლებს, თვით კოკისპირული წვიმაც ვერ ასველებს მას. ვერ იკიდებს იქ ფეხს ვერც თოვლის ფიფქი, მისგან გამოცემული თეთრი შარავანდედი ეფინება ქვეყანას, აქ ატარებენ თავიანთი სიხარულით აღსავსე დღეებს ბედნიერი ღმერთები"...

მსოფლიოს ცნობილი არაერთი ტაძარი მთებზეა აგებული. ნათქვამის შესანიშნავი დასტურია სამების მონასტერი მყინვარწვერთან. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ასეთი ამბავი. ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში, ტექნიკური მეცნიერების ხაზით, გაიმართა დიდი მასშტაბის საერთაშორისო კონფერენცია. საქმიანი ბჭობის შემდეგ მონაწილეთა ერთი ნაწილი, ორასი კაცის შემადგენლობით, ყაზბეგს გაემგზავრა. სტუმრების უმრავლესობა უცხოელი იყო. ზაფხულის იმ დღეს იშვიათად მოწმენდილი ცა დანათოდა მთელ ხევს. იცოცხლეთ, სტუმრებმა გული იჯერეს მყინვარწვერისა და სამების დიდებული ჰარმონიის ხილვით. მაგრამ რა სანახაობაც ღამით გაიშალა თვალსაწიერზე, აბა, დღე მასთან შედარებით, რა მოსატანია! ვარსკვლავებით მოჭედილი ცის კაბადონითა და ბადრი მთვარით ისე იყო გაჩირაღდნებული მთელი თერგის ხეობა, კაცი ძირს დავარდნილ ნემსსაც იპოვიდა. არ შეიძლებოდა არ გაგხსენებოდა გიორგი ლეონიძის კალმით დახატული სურათი: „ნალამურზე ცა ქათქათებდა ირმის ნახტომის ალმასური მტვერით და ვარსკვლავთა უმანკოებით". აი, მაშინ უნდა გენახათ დიდებული მყინვარწვერი და ხელთუქმნელი ძეგლი — სამება! ძილი ვის ახსოვდა. უცხო ენაზე მოუბარი ამდენი კაცის ხმა ხევის მთებს ერთად, ალბათ, არასოდეს მოესმინა. სასტუმროს წინ და აივნებზე სტუმრებს თეთრად დაათენდათ...

დღეს ადამიანს მთის არც ერთი უმაღლესი მწვერვალი აღარ დარჩა დაუპყრობი, მაგრამ სიმაღლეები მაინც ტოვებენ უკმარისობის გრძნობას. იქ, თვალუწვდენელ მწვერვალებზე, კვლავ რჩება რაღაც გამოუცნობი, იდუმალი...

**არნოლდ გეგეჭკორი.**

**სურათზე: სამება ყაზბეგში. ავტორის ფოტო.**

# „თელეთის" ქველმოქმედებანი

**მას** შემდეგ, რაც ფარდა აეხადა მრავალ, მანამდე მიჩქმალულ ჭირვარამიან საკითხს, ჩვენს ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ქველმოქმედება. ეს არცაა გასაკვირი. ხალხმა კარგად იცის, შიშველი ხელებითა და ცარიელი ენთუზიაზმით რომ საქმეს არ ეშველება და ამიტომ, ვიდრე სხვა მიანიშნებდა, მის მაგივრად იფიქრებდა და მიუთითებდა, თვითონვე გადაწყვიტა, სატკივარს შველაც უნდა და დახმარებაც.

და აი, აგორდა, აზვირთდა ქველმოქმედების უზარმაზარი ტალღა. გაიხსნა მრავალი ანგარიში, ფონდი, სადაც განუწყვეტლივ შემოდის სხვადასხვა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა თუ კერძო პირთა მიერ გაღებული შეწირულობანი.

ამ საშურ საქმეს არც კოოპერატივები გამოაკლდნენ. ახლახან საზკვების კოოპერატივის „თელეთის" (თავმჯდომარე — გ. ნაცვალაძე) წევრთა საერთო კრებაზე იმსჯელეს საქართველოში შექმნილ მძიმე დემოგრაფიულ პრობლემებზე. რა დასამალია, ხშირად მცირეშვილიანობა მატერიალური ხელმოკლეობიდან იღებს სათავეს და მრავალშვილიანი ოჯახებიც ხომ სწორედ ამგვარ სიძნელეს უჩივიან. ერის გამრავლებაზე ზრუნვა მხოლოდ ამის მოწოდებაში როდი გამოიხატება, მხარში ამოდგომა და დახმარებაა საჭირო.

„თელეთის" წევრებმა გადაწყვიტეს კოოპერატივის მოგებიდან შექმნან საქველმოქმედო ფონდი, რომელიც უშუალოდ დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტას მოხმარდება. ფონდის მეშვეობით კოოპერატივი საქართველოს სახალხო ფრონტის ანგარიშზე გადარიცხავს 5 ათას მანეთს. გათვალისწინებულია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტების ახლადშექმნილ ორ-ორ სტუდენტურ ოჯახს, რომლებიც ამ სასწავლებლების საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ, სწავლის პერიოდში ყოველთვიურად დაენიშნოთ 100-100 მანეთი. ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს, შვიდი შვილის დედას ნაზი შონიას ერთდროული დახმარების სახით კოოპერატივი „თელეთი" სთავაზობს 1000 მანეთს.

მკითხველისათვის ცნობილია, რომ 29 ივნისს კასპის სამშობიარო სახლში მეტად უჩვეული და სასიხარულო ამბავი მოხდა. დაიბადა ოთხი წყვილი ტყუპი. კოოპერატივის წევრებმა საერთო კრებაზე ერთხმად გადაწყვიტეს, ამ ოჯახებს ერთდროული დახმარების სახით 250-250 მანეთი მისცენ.

თელეთელი ქველმოქმედნი ვარაუდობენ გააფართოონ თავიანთი სამოქმედო ასპარეზი, მეტ ქართულ ოჯახს გაუწიონ დახმარება, ეს კი ცხადია, დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი რეალური გზაა და რაც მეტი მიმდევარი ეყოლება მას, მით უკეთესია.

**სოსო ბაღაშვილი.**

# საზღვარგარეთის ფირმასთან ერთად

**ბათუმი.** („კომუნისტის" საკ. კორ.). უცხოეთის ფირმებთან კონტაქტებსა და ერთობლივ ღონისძიებებს კარგი შედეგები მოჰყვა: ბათუმში იტალიური მოწყობილობით აშენდა ქარხანა „ნარინჯი", თურქეთის ფირმებთან ერთად აიგება სასტუმროები, სამკერვალო გაერთიანებაში იაპონელები დაამონტაჟებენ თავიანთ საკერავ მანქანებს...

ახლახან ბათუმს ეწვია კიპროსის ფირმის „იუნაიტედ პერლაიტ ინდუსტრის" პრეზიდენტი ფაიკ ატაია. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბათუმის საავეჯო-სუვენირების ფაბრიკის ბაზაზე შეიქმნება ერთობლივი საწარმო, სადაც ადგილობრივი ნედლეულით დამზადდება რბილი და ბამბუკის ავეჯი. იგი საექსპორტოდაც გაიგზავნება.

# საინგილოს მშრომელებთან

**ლაგოდეხი.** („კომუნისტის" საკ. კორ.). ლაგოდეხის რაიონის ცოდნისკარისა და თელავის რაიონის იყალთოს კულტურის სახლების თვითმოქმედი კოლექტივები ეწვივნენ საინგილოს — კახის რაიონის მშრომელებს. სტუმართა ხელოვნებამ კახისა და ალიბეგლოს ქართველთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

# მრევლი დალოცა

**ამ** დღეებში კახეთს ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

თელავის ღვთაების ახლადგაახსნილ ღვთისმშობლის ტაძარში მან ჩაატარა წირვა-ლოცვა, რომელსაც უამრავი ადამიანი დაესწრო. იყალთოს აკადემიის ნაფუძარზე პატრიარქი შეხვდა საზოგადოებრიობას. მან აღნიშნა, რომ ეკლესია იწონებს გარდაქმნის პროცესს, რომელიც ეხმიანება ფერისცვალების ქრისტიანულ ცნებას. უკეთესი მომავლის მიღწევა შეუძლებელია სულიერი ცხოვრების გარეშე, მხოლოდ საზოგადოების წევრთა შინაგანი თავისუფლების მიღწევის შემდეგ შეიძლება მაღალ ეროვნულ თვითშეგნებაზე, სამომავლო ნათელ მიზნებზე ფიქრი, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას გულისხმობს.

შუამთის მონასტერში გაიმართა საზეიმო ნათლობა. შემდეგ მღვდელმთავარმა სოფელ ტიბაანში დაათვალიერა წმინდა სტეფანეს აღდგენილი მონასტერი, ტაძარში გადაიხადა პარაკლისი, ესაუბრა მშრომელებს, მოინახულა ალორძინებული სოფელი ხორნაბუჯი, გაეცნო ახალმოსახლეთა ოჯახებს.

ალაზანგაღმა, ბელაქნის რაიონის საზღვართან ახლადგაშენებულ სოფელ ერისიმედში დიდი ზეიმი იყო. კათოლიკოს პატრიარქმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ფეხით შემოიარეს სოფელი; აკურთხეს ის ადგილი, სადაც აიგება წმინდა გიორგის ეკლესია. გადაიხადეს პარაკლისი, ხოლო შემდეგ მრავალი ბავშვი და ახალგაზრდა მონათლეს. ერთ-ერთი პირველი მოინათლნენ აჭარიდან ახლადჩამოსახლებული თამილა და გიორგი ჩოგოვაძეები.

ბოდბის წმინდა ნინოს მონასტრის ტაძარში კათოლიკოს პატრიარქმა ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე მიტროპოლიტად აკურთხა. საღამოს კი სიღნაღში შეხვდა და ესაუბრა რაიონის ათასობით მშრომელს, უპასუხა მათ უამრავ შეკითხვას.

წითელწყაროს რაიონის ზემო ქედისა და არხილოსკალოს საზღვარზე, სამთაწყაროსა და ორ სხვა სოფელში აღიმართა ვაზის ჯვრები. იმის ნიშნად, რომ აქ სულ მალე აღიმართება ქართული ტაძრები.

შემდეგ პატრიარქი მღვდელმსახურთა თანხლებით ლაგოდეხის რაიონში გაემგზავრა. გადაწყდა, რომ იქაც აიგება ახალი ტაძრები. საგარეჯოს რაიონში ღვთისმშობლის ტაძარში ილია მეორემ მონათლა ბავშვები, ფერეიდნიდან გადმოსახლებული ქართველები.

**ზურაბ არსენიშვილი,**
**ვახტანგ გოზალიშვილი,**
**„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტები.**

# დანაშაულის კვალდაკვალ

### რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვატყობინებენ

● **ლანჩხუთის** რაიონის სოფელ მოედანში ღამის პირველ საათზე ამავე სოფლის კოლმეურნეობის მძღოლმა, მთვრალმა ბიძინა ტელმანის ძე გუჯაბიძემ ჩხუბის დროს დანით მოკლა ამავე სოფლის ავტოზეინკალი ზურაბ ჯოჯუა.

● **ოზურგეთის** რაიონის სოფელ ფამფალეთში 1980 წელს დაბადებულს, საშუალო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეს ილია ანზორის ძე ინწკირველს არარეგისტრირებული სანადირო თოფით თამაშის დროს შემოაკვდა 1986 წელს დაბადებული ჯაბა მიხეილის ძე ინწკირველი. სანადირო თოფი ეკუთვნის სოფელ ვაკიჯვრის კოლმეურნეობის ელექტრომონტიორს გივი ლუკას ძე ინწკირველს.

● **ხობის** რაიონის სოფელ პირველ მაისში ამავე სოფლის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ ველოდი რამინის ძე ლაგვილავამ პენსიონერი ბაბუის ველოდი თომას ძე ლაგვილავას არარეგისტრირებული სანადირო თოფით შემთხვევით მოკლა თავისი ბიძაშვილი, ხობის სპორტული სკოლა-ინტერნატის მეცხრე კლასის მოსწავლე ირმაზ ბუკია.

**ზემოთ მოყვანილი ორი ფაქტი მეტად დამაფიქრებელია და ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. მშობლები, უფროსები რიგიანად ვერ ინახავენ ცეცხლსასროლ იარაღს, რომელიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი ხდება. ისიც საკითხავია, არარეგისტრირებული სანადირო იარაღი ასე მასობრივად რატომ არის მოსახლეობაში?**

**თბილისში,** გლდანის მასივში ღამის სამ საათზე დანით სასიკვდილოდ დაჭრეს კოოპერატივ „წინსვლის" მუშა ნუგზარ ალის ძე ხამედოვი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებისა და რაიონის პროკურატურის მუშაკებმა მკვლელი, გლდანის სარემონტო-სამშენებლო კანტორის ხურო ალფრედ ვლადიმერის ძე ლომოვი „ცხელ კვალზე" დაადგინეს. მკვლელი იმალება.

● **ქალაქ** თბილისის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამმართველოს სპეკულაციისა და სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების მუშაკებმა ამხილეს ქრთამის აღების ფაქტზე გლდანის მასივის მეორე მიკრორაიონის ოცდამეთორმეტე კორპუსში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი მერი ალექსანდრეს ასული ტეფნაძე, რომელიც დაჰპირდა ლალი გიორგის ასულ კამლაძეს, რომ დაეხმარებოდა ბინის მიღებაში, და თითქოს თანამდებობის პირებისათვის უნდა გადაეცა 12.000 მანეთი. ქალაქის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

კედელთან...

კახა ჩხატარაიშვილის ფოტო.

# ახალგაზრდულ ასპარეზობაზე

**კიევი** ექვსი საპატიო ჯილდოთი გამდიდრდა ახალგაზრდობის მეოთხე საკავშირო ასპარეზობაზე საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაპოვარი — მოპოვებულია 5 ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი.

ოქროს ფინიში ჰქონდათ ჩვენს მოჭადრაკე გოგონებს. ბოლო ტურში მათ მოლდავეთის გუნდი დაამარცხეს (2:1) და პირველი ადგილებიც გაინაღდეს. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ ქეთევან არახამია, ქეთევან კახიანი და ნათია ჯანჯღავა. მეორე ადგილი ბელორუსიის გუნდს ხვდა, მესამე კი რსფსრ-ს მოჭადრაკეებმა დაისაკუთრეს.

საქართველოს ჭაბუკი მოჭადრაკეები მეშვიდე ადგილს დასჯერდნენ. გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე კი რსფსრ-ს, ლენინგრადისა და ბელორუსიის გუნდები ავიდნენ.

სპორტის ამბები

ორი ოქროს მედალი მოიპოვა სპორტული ტანვარჯიშის ცალკეულ სახეებში სოფიკო მანაგაძემ (დონეცკში მიმდინარე ტურნირში იგი სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით გამოდის. თბილისელი ქალიშვილი უძლიერესი იყო ხტომებში), ხოლო მესამე — თავისუფალ ვარჯიშში. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მეექვსე ადგილზეა.

დნეპროპეტროვსკში ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილი ორი წყალმეთხილამურე ავიდა — ფოთელები ხათუნა კორკელია და ვასილ ბუდოვი.

ჯილდოების მოგროვება დაიწყეს ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმაც. თამაშების ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა 68 კილოგრამამდე წონის კატეგორიაში მოჭიდავე გიორგი ხინჩიკაშვილმა. სულ ცოტა, ვერცხლის მედლის მფლობელი უნდა გახდეს მერაბ ვალიევი (130 კილოგრამზე ზევით წონაში), მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ გოჩა მაკოევი და აკაკი ჩიხლაძე.

კრამატორსკში დაიწყო ფეხბურთელთა დასკვნითი ასპარეზობანი. მაღალი ჯილდოსათვის საქართველოს ნაკრებიც იბრძვის.

### საკავშირო აგროსამრეწველო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი

**აცხადებენ კონკურსს** საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ქართული სოფლის პრობლემებზე რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ საუკეთესო პუბლიკაციებზე.

დაწესებულია I პრემია — ერთი 300 მან. II პრემია — ორი 200-200 მან. მესამე პრემია — სამი 100-100 მან.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რესპუბლიკური, ახალგაზრდული, საოლქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, ცალკეულ ჟურნალისტებს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებსა და სპეციალისტებს. კონკურსში დაიშვება 1988 წელს და 1989 წლის 1 ნოემბრამდე გამოქვეყნებული მასალები, რომელთაც რეკომენდაციას გაუწევენ ჟურნალისტთა და აგროსამრეწველო სტს ორგანიზაციები.

მსურველებმა მასალები უნდა წარმოადგინონ 10 ნოემბრამდე შემდეგი მისამართით — თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი. კონკურსისათვის.

პუბლიკაციას თან უნდა დაერთოს ჟურნალისტთა კავშირისა და სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი გადაწყვეტილების ამონაწერი.

კონკურსის შედეგები 1 დეკემბრისათვის გამოქვეყნდება.

## ამინდი

**დღეს** დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 25-30, მთაში 24-29, მაღალმთიანეთში 19-23 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — მშრალი ამინდი, დასავლეთის ქარი 9-14, ალაგ-ალაგ 15-20 მეტრი წამში. ტემპერატურა — ბარში 30-35, მთაში 25-30, მაღალმთიანეთში 21-26 გრადუსი.

* * *

**თბილისში:** დარი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, გარეუბნებში 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — 33-35 გრადუსი.

## სამშაბათი, 18 ივლისი

## თბილისი

**პირველი პროგრამა.** 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ათლეტიზმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (გამეორება). 16.35 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი კვირადღე". 17.35 — მოსწავლეთათვის „მშვიდობით, სკოლავ" (გამეორება). 19.05 — „რედაქციაში წერილი მოვიდა". 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ჩვენი პრემიერა" — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიალოგები". 21.05 — „შემოქმედებითი გზის საწყისებთან". 22.00 — ვრემია. 22.40 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.50 — „საღამო მშვიდობისა!" მუსიკალური გასართობი პროგრამა.

**მეორე პროგრამა.** 16.20 — დოკუმენტური ფილმი „იმედის მინდვრები". 17.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე". 18.50 — დოკუმენტური ფილმი „კამჩატკის მერიდიანი". 19.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბორის კახიანი". 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „მე დავბრუნდები". 21.55 — მუსიკალური შესვენება. 22.00 — ვრემია.

## მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმები. 10.05 — ე. ჰემინგუეი. „კუნძულები ოკეანეში". ტელესპექტაკლი. 12.50 — „ეს იყო... იყო...". 16.35 — დოკუმენტური ფილმი. 17.05 — მულტფილმი. 17.20 — მუსიკალური შეხვედრები. ქშიშტოფ იაკოვიჩი. 18.05 — დოკუმენტური ტელეფილმი. 18.35 — ადიღეური ხალხური შემოქმედება. 19.15 — მულტფილმები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დოკუმენტური ფილმები. 21.15 — კინოკონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „თქვენი თხოვნით", მეორე შეხვედრა ვლადიმერ მინინთან და მოსკოვის კამერულ გუნდთან. 0.15 — დღეს მსოფლიოში. 0.30 — „დაბრუნება". ი. ლიუბიმოვი მოსკოვში.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.45 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები. 10.15 — ფილმ-კონცერტი. 10.55 და 13.30 — ფრანგული ენა. 12.00; 14.00 და 18.00 — ახალი ამბები. 12.10 — მხატვრული ტელეფილმი „შავი ზღვის ტალღები". I სერია. 13.20 — კინოჟურნალი „ეკრანზეა ციმბირი". 14.10 — მხატვრული ფილმი „ჩიორა". 15.35 — რიტმული ტანვარჯიში. 18.15 — „როცა ისევ პატარა გავხდები". სომხეთის ტელევიზიის პროგრამა. 19.45 — მულტფილმი. 19.55 — რიტმული ტანვარჯიში. 20.25 — „დროებასა და საკუთარ თავზე". ანა ახმატოვა. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.00 — სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ფილმი „მდიდარი უბნები". I სერია. 0.10 — „დილის ფოსტა". (განმეორებით). 0.40 — ახალი ამბები.

რედაქტორი
**ნ. ჩერქეზიშვილი.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10441 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 89 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14